# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 4 თებერვალი 2006 №24 (2646) ფასი 50 თეთრი


# მიაწექით გაზს!

## ტანკების კულტურა შიშველი გულების ნაღმზე

საქართველო კვლავ ეთამაშება რუსეთს და კვლავ არ გამოდის, რომ ეს თამაში მარტო თამაში იყოს.

არ გამოდის, ორი მხარის ვაჟკაცმა მორაგბეებმა უბრალოდ ითამაშონ და მოედანზე მხოლოდ სპორტი იყოს.

არ გამოდის ეს ამბავი განსაკუთრებით საქართველოსთვის, რადგან რუსეთთან შეჯიბრი აღარ ნიშნავს მხოლოდ სპორტს. ის ნიშნავს ტყვიავში შემოვარდნილ ტანკს, გაზპრომს, წითელ დროშას, ესესერის ჰიმნს, ორას წელიწადს, ათას უბედურებას და მილიონ ოხვრას.

ეგებ ეს სამწუხაროა, მაგრამ ასე კი გამოვიდა. ამიტომ დღეს ოცდაათი სპორტსმენის თავზე ჰაერში დალივლივებს ათასი ავი რამ, რაც რაგბის ჭიდილს ჩვენს გულებში მფეთქავ სულ სხვა ჭიდილამდე მივყევართ.

ამ ჭიდილში უნდა იმარჯვოს ბორჯღალის გუნდმა, რომელსაც თავისი ტვირთი არ ეყოფოდა და ახლა საქვეყნო ტვირთიც ზედ ადევს. ეს პირველი არ არის, ადრეც უზიდავთ და უფრო მძიმეც.

ჩვენი შეძახილიც ძველია და ნაცნობი:





AFP

# ტაიმაუტი

## ტოპმიოლერის და მინგეს გზები გაიყარა

**გერმანიაში** ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი გერმანული საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა და მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე მიწვეულთა შორის საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც იყო. ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ პრეზიდენტი კლაუს ტოპმიოლერს პირისპირაც შეხვდა და რამდენიმე წუთი ესაუბრა.

დღის მეორე ნახევარში კლაუს ტოპმიოლერი უკვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან იყო — ნოდარ ახალკაცმა, კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერებმა და რალფ მინგემ მომავალი საქმიანობის კონტურები მოხაზეს. იქვე შედგა შეთანხმება, რომ თბილისში ჩამოსვლამდე რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი მედიისთვის განცხადებების გაკეთებისგან და, მით უმეტეს, ინტერვიუებისგან თავს შეიკავებენ. ისინი ჩვენს კითხვებს, სავარაუდოდ, ორშაბათს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გასცემენ პასუხს.

შეიცვალა მინგესა და ჰაინც ტოპმიოლერის საქართველოში ჩამოსვლის განრიგიც — ჰაინც ტოპმიოლერი დრეზდენიდან დღეს გამოემგზავრება თბილისში, რალფ მინგე კი ხვალ ფრანკფურტიდან ჩამოვა.

თანაშემწეების თბილისში გამოსტუმრების შემდეგ კლაუს ტოპმიოლერი მცირე ტაიმაუტს აიღებს. ბოლო დღეების დაძაბულმა გრაფიკმა ჰერ კლაუსს უქმეების ოჯახთან ერთად გატარება გადააწყვეტინა.

**გიორგი ნოზაძე**

# ვინ არის ალკანენა?!

## ქართველებმა თეთრი ლაქა 7:0 დაამარცხეს



კობა ჟორჟიკაშვილი

**საქართველოს** 21-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიაში თავისი მეოთხე, ბოლო მატჩი გამართა და 7:0 მოიგო. ჩვენების მეტოქე „ალკანენა“ იყო, რომელსაც ვერც ერთ პორტუგალიურ დივიზიონში ვერ მივაკვლიეთ.

კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი უკვე მე-40 წუთისთვის 5:0-ს იგებდა. ამ შეხვედრაში ქართველებმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები მოისაკლისეს, რომლებმაც თავიანთ კლუბს კვიპროსულ შეკრებაზე ჩააკითხეს.

ჰეთ თრიქი შეასრულა ზესტაფონელმა ბექა გოცირიძემ, ორი გოლი ამერელმა ბესიკ ჩიმაკაძემ შეაგდო, თითო-თითოს კი ისევ ამ ორი კლუბის ფეხბურთელები — ზესტაფონელი ალექსი ბენაშვილი და ამერელი რატი წინამძღვრიშვილი დასჯერდნენ.

ჟორჟიკაშვილმა „ალკანენასთან“ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *თევდორაძე (ალავიძე 46), მჭედლიშვილი (ძარია 46), გვაძაბია, ხიდეშელი (ხუმარაშვილი 46), ელბაქიძე, ბენაშვილი, დაუშვილი, ბჟალავა (ყიფიანი 46), კახელიშვილი (წულაძე 46), გოცირიძე (წინამძღვრიშვილი 46), ჩიმაკაძე.*

ქართველი ახალგაზრდები თბილისში ხვალ დაბრუნდებიან.

**ლუკა თალაკვაძე**

# სადღაა 5:0

## ბორჯომ-თბილისი ძმურად გაიყარნენ

**გეცოდინებათ**, „ბორჯომი“ 8 თებერვალს ორ არგენტინელ ფეხბურთელს ელის. სოსო ფრუიძე მათ საქმეში ნახვას „სოხუმთან“ 11 თებერვლის ამხანაგურ მატჩში აპირებს. გუშინ კი კურორტელები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მდებარე სტადიონზე „თბილისს“ გაეჯიბრნენ და 1:1 ითამაშეს.

„ბორჯომმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *მამალაძე, საჯაია, დავით ბაქრაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ა. ბურნაძე, გ. ჩხეტიანი, სანიკიძე, აფციაური, ე. მერებაშვილი, გაბისკირია, შ. ჯიქია.* შეცვლაზე შევიდნენ *გამხიტაშვილი, ჯანგიძე და ცქვიტაია.*

პირველ ტაიმში ანგარიში ქვემოქართლელებმა გახსნეს, როცა იური გაბისკირიას პასით ალექსანდრე ბურნაძემ თავით გაიტანა, შესვენების შემდეგ კი ირაკლი ლილუაშვილმა გაათანაბრა.

რაც შეეხება „თბილისს“: გიორგი დევდარიანმა სამივე ახალწვეული — ბენდელიანი, გუშარაშვილი და ლევან კვარაცხელია — ათამაშა, ასევე მინდორზე იყო პირველ წრეში „ბორჯომში“ განათხოვრებული ბესიკ მიქიაშვილიც.

ისე, გეხსომებათ, თბილისურ-ბორჯომული საპირველწრეო მატჩი სოსო ფრუიძის გუნდმა 5:0 მოიგო...

**ილია ნანობაშვილი**

# კლაუს ტოპმიოლერი აფრიკით დაიწყებს

**მალტის** ტურნირზე საქართველოს ნაკრებს მეტოქეების ვინაობა კარგა ხნის გარკვეულია, თარიღებიც ცნობილი იყო, გუშინ კი კალენდარი შედგა — მაშ ასე, კლაუს ტოპმიოლერს საქართველოს ნაკრებში დებიუტი 25 თებერვალს ლიბიასთან ექნება.

ლიბიელები, როგორც მოსალოდნელი იყო, აფრიკაში მიმდინარე ერთათასზე ჯგუფში ჩარჩნენ. შეგახსენებთ, ამ ნაკრებსაც უცხოელი წვრთნის — ხორვატი ილია ლონჩარევიჩი...

27 თებერვალს საქართველო მალტას შეხვდება, 1 მარტს კი — მოლდოვასთან მატჩით დაასრულებს ტურნირს. მალტურ ვებგვერდზე ისიც წერია, ტურნირის ფავორიტი საქართველოს ნაკრებია, რომელსაც კლაუს ტომპიოლერი წვრთნისო.

25 თებერვალი

**17:00 (თბილისის დროით): საქართველო — ლიბია**

**19:15 მალტა — მოლდოვა**

27 თებერვალი

**19:45 ლიბია — მოლდოვა**

**22:00 მალტა — საქართველო**

1 მარტი

**19:45 მოლდოვა — საქართველო**

**22:00 მალტა — ლიბია**

აქვე ვთქვათ, რომ ყველა მატჩი ქალაქ ლა ვალეტაში, სტადიონ „ტა ქალიზე“ გაიმართება.

**ილია ნანობაშვილი**



მალტის ტურნირს „ტა ქალი“ უმასპინძლებს

### ინგლისი

I ლიგა. XXXI ტური

სუონსი 1:0 ბორნმუთი

ტრანმერი 2:1 ჰადერსფილდი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XX ტური

ბოხუმი 3:0 ალენი

ბურგჰაუზენი 1:1 კარლსრუე

ზიგენი 0:4 ზაარბრიუკენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXI ტური

ესენი 2:0 დიუსელდორფი

ზანკტ პაული 4:2 ემდენი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIV ტური

ამიენი 0:0 გენიონი

კლერმონი 0:1 ბრესტი

კრეტეი 1:1 შატორუ

ლავალი 0:2 მონპელიე

სედანი 0:2 დიჟონი

სეტე 1:3 გრენობლი

გენგამი 0:0 კაენი

რეიმსი — ბასტია გადაიდო

### ბელგია

იუპილერლიგა. XXI ტური

ბრიუგე 3:1 ლიერსი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXII ტური

ტილბურგი 3:1 როზენდალი

II დივიზიონი. XXVIII ტური

კამბური 1:0 ალმერე

ექსელსიორი 4:1 გრააფსხაპი

იგლსი 1:1 მაასტრიხტი

ვენლო — ზვოლე გადაიდო

ემენი — ჰელმონდი გადაიდო

დენ ბოსხი — ვოლენდამი გადაიდო

აპელდორნი — ვეენდამი გადაიდო

ეინდჰოვენი — დორდრეხტი გადაიდო

სიტარდი — ოსი გადაიდო

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXI ტური

ბოავიშტა — ნავალი გვიან დამთავრდა

### თურქეთი

სუპერლიგა. XIX ტური

ფენერბაჰჩე 1:1 რიზე

### იტალია

სერია B. XXVII ტური

არეცო 0:0 ბრეშა

მანტოვა 0:1 ვიჩენცა

# ვიტ ჯორჯია თბილისში ქათმის გრიპმა დატოვა

## რამაზ შუმლაძე: მარცვალაძეს 14 გოლით ვერ შევცვლით

**საქართველოს მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი თბილისის „ვიტ ჯორჯია" სეზონის განახლებისთვის კი ემზადება, მაგრამ გუნდს უცხოური შეკრება არ ჰქონია და თბილისის იქითაც არ წასულა. „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელ რამაზ შუმლაძესთანაც საუბარი აქედან დავიწყეთ...**



— თურქეთში, ანთალიაში წასვლა გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ თურქეთში გავრცელებული ქათმის გრიპის გამო იქ შეკრებაზე წასვლას მოვერიდეთ. ხან მანეჟში ვვარჯიშობთ, ხან დარბაზში, ხან ხელოვნურსაფარიან მოედანზე, რადგან უამინდობამაც შეგვიშალა ხელი. ჯერჯერობით საკონტროლო მატჩების გამართვასაც ვერ ვახერხებთ, ისევ და ისევ უამინდობის გამო.

— თბილისშიც არ მოხერხდა შეკრების მოწყობა?

— არა, ფეხბურთელები ვარჯიშებზე სახლიდან დადიან, მაგრამ 7-დან 12 თებერვლამდე შეკრებაზე გავალთ სასტუმრო „მონოპოლში", რათა 18 თებერვალს თასის მეოთხედფინალში „ლოკომოტივთან" სათამაშოდ კარგად მოვემზადოთ.

— „ვიტ ჯორჯიას" პრიორიტეტი თასი ხომ არ გახდა?

— არა, ჩემპიონატში პირველ ადგილზე ვართ და ყველანაირად ვეცდებით, ქვემოთ არ ჩამოვიდეთ. ცხადია, თასისთვისაც ვიბრძოლებთ.

**— ჩემპიონობისთვის თქვენი კონკურენტები უცხოურ შეკრებებზე არიან და მიგაჩნიათ, რომ ამით მათ უკეთესი შანსი ექნებათ?**

— ადგილის და ჰაერის გამოცვლა ფეხბურთელებისთვის მისწრებაა, მაგრამ ჩვენ ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ.

**— საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ვიტ ჯორჯიადან" კიევის „დინამოში" გასინჯვაზე წასული თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე იქ დარჩება...**

— ვინც უნდა წასულიყო, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი დანაკლისი იქნებოდა და ხომ წარმოგიდგენიათ, თუ მარცვალაძე კიევის „დინამოში" დარჩება, რამხელა დანაკლისი იქნება ჩვენთვის. მარცვალაძეს კი შევცვლით, მაგრამ მან პირველ წრეში 14 გოლი გაიტანა და ისეთ შემცვლელს უცბად ვერ გამოვუძებნით, მეორე წრეში მანაც 14 გოლი რომ გაიტანოს — ასეთი ფეხბურთელი ჯერ არ გვყავს.

**— ახალი ფეხბურთელები არ დაგიმატებიათ?**

— დავიმატეთ თავდამსხმელი ბეგოიძე აგარის „მეშაქრედან", „ვიტ ჯორჯიას" მესამე გუნდ „საგარეჯოდან" გადმოვიყვანეთ მცველი ლონდაძე და ნახევარმცველი კვალინაძე — ისინი ჯერ ჩვენს მეორე გუნდში იქნებიან და თუ თავს გამოიჩენენ, პირველში გადავიყვანთ. ტრავმის შემდეგ მომჯობინდა ლექსო კვახაძე, ვისაც თითქმის ნახევარი სეზონი გაუცდა.

**— ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტად ალბათ „დინამოს" მიიჩნევთ...**

— ეგრეა, მაგრამ „სიონი" და „ამერიც" არ უნდა დაგვავიწყდეს, ძალიან ანგარიშგასაწევი ძალაა „ზესტაფონიც".

**— „დინამოში" კარგა ხანს მუშაობდით მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ და ამ კლუბის სამზარეულოს ალბათ კარგად იცნობთ — როგორ ფიქრობთ, ეს „დინამოსთან" ბრძოლაში საქმეს გიადვილებთ?**

— „დინამოში" ნამუშევარი ვარ და გარკვეული რაღაცები ვიცი ამ გუნდზე, მაგრამ ისიცაა, რომ როცა „დინამოში" ვმუშაობდი, „ვიტ ჯორჯიასთან" თამაში ყოველთვის გვიჭირდა.

**— როგორ დაახასიათებდით თქვენს გუნდს, როგორ ფეხბურთს თამაშობს „ვიტ ჯორჯია"?**

—საქართველოს ჩემპიონატის უმეტესი გუნდების მსგავსად, ჩვენ დაცვით ფეხბურთს არ ვთამაშობთ და მეტოქის შეცდომის მოლოდინში არ ვართ. „ვიტ ჯორჯიამ" პირველი წრის ყველა მატჩში შემტევი ფეხბურთი ითამაშა.

**— პირველ წრეში თქვენი გუნდის რომელმა ფეხბურთელმა გაგაკვირვათ?**

— ვინმეს გამოყოფა არ მიყვარს, მაგრამ გუნდის ახალწვეულებიდან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მეორე გუნდიდან გადმოყვანილმა გიორგი დათუნაიშვილმა დატოვა — ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყველანი რაგბიზე მივდივართ

## ამირან კაჭახიძემ კუპერი გადადო

**მეორე** წრისთვის მზადებას ასრულებს მსაჯთა კორპუსი. გუნდების დარად, საკონტროლო შეხვედრები მათთვისაც მზადყოფნის ერთგვარი ტესტია და აქედან გამომდინარე, სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელობას სურს, ამ მატჩების ატმოსფერო მაქსიმალურად მიუახლოვოს ოფიციალურისას.

ამირან კაჭახიძემ თხოვნით მიმართა კლუბების ხელმძღვანელებს, სულ ცოტა, 24 საათით ადრე მაინც აცნობონ მომავალი სპარინგის შესახებ, რათა მსაჯთა ბრიგადამ მატჩისთვის მომზადება მოასწროს. ისეც ხდება, ხშირად ამა თუ იმ სპარინგის დასრულების შემდეგ კლუბების წარმომადგენლებს სურთ მეორე გუნდებიც შეახვედრონ ერთმანეთს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ფედერაციიდან მივლენილი მსაჯები მათ ველარაფრით დაეხმარებიან.

2 თებერვალს სამსაჯო კომიტეტმა უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლები მიიწვია. მართალია, რამდენიმე კლუბი არ თუ ვერ გამოეხმაურა ამ მიპატიჟებას, მაგრამ კომიტეტის ხელმძღვანელი თვლის, რომ შეხვედრა ნაყოფიერი იყო. ფიფა-უეფადან გამოგზავნილი მეთოდური ვიდეომასალის განხილვას ერთადერთი მიზანი აქვს: მსაჯებმა, დამკვირვებლებმა, დელეგატებმა და კლუბების წარმომადგენლებმა ერთნაირი ინტერპრეტაცია მისცენ საკამათო ეპიზოდებს, რაც მატჩების მსვლელობისას გარკვეულწილად გამორიცხავს ვითარების დაძაბვას და შემდგომ ექსცესებს.

მსაჯებს შეკრება დღეს საღამოს რვა საათზე უნდა დაესრულებინათ, ხვალ კი ეროვნულ სტადიონზე კუპერის ტესტის ჩაბარება უწევდათ. ამირან კაჭახიძემ გვითხრა, რომ შეკრება სიმბოლურად ეროვნულ სტადიონზე, საქართველო — რუსეთის სარაგბო შეხვედრით დასრულდება: რაგბის კავშირმა 50 ბილეთი გაუგზავნა ფეხბურთის ფედერაციას და სამსაჯო კორპუსი სრული შემადგენლობით გეგმავს ჩვენი მორაგბეების საქომაგოდ სტადიონზე მისვლას.

რაც შეეხება კუპერის ტესტის ჩაბარებას, სავარაუდოდ, ერთი კვირით გადაიდება.

**გიორგი ნოზაძე**

# ჩერნიშოვის უიღბლო დებიუტი



**თბილისის** „დინამომ" კვიპროსულ შეკრებაზე პირველი ტესტ-მატჩი გამართა და სერბეთის ჩემპიონატის მეთორმეტეადგილოსან „რადთან" 0:2 წააგო. თამაში ძალიან დაძაბული, ხისტი და ძალისმიერი გამოდგა, „რადის" ფეხბურთელებს ყვითელი ბარათებიც საკმაოდ მიუღიათ. ისე კი, უპირატესობას ხან „დინამო" ფლობდა, ხან სერბები.

მოკლედ, „დინამოს" მთავარ მწვრთნელ ანდრეი ჩერნიშოვს იღბლიანი დებიუტი არ გამოუვიდა.

„დინამო" პირველ ტაიმში: *სტურუა; ლობჟანიძე, ქემოკლიძე, გიგაური, აკობია; ლ. ნოზაძე, ამბროზიო, ვიეირა; გ. მერებაშვილი, დვალი, მელქაძე.*

მეორე ტაიმში: *სტურუა; გ. კაშია, თომაშვილი, ორბელაძე, ა. კალაძე; ნავალოვსკი მახარაძე, ჩირიკაშვილი — ამბროზიო, ვიეირა, კვიტაიშვილი.*

როგორც ხედავთ, ჩერნიშოვს არ უთამაშებია მეკარე სოსო გრიშიკაშვილი, მცველი გიორგი შაშიაშვილი და ფორვარდი მიხეილ ბობოხიძე, რომლებსაც მიკროტრავმები აქვთ. სანდრო იაშვილი კი, მოგეხსენებათ, მანამდეც დაშავებული გახლდათ და მის გამოჩენას მომდევნო ევროპულ მატჩში ელიან.

თბილისის „დინამო" მორიგ ტესტ-მატჩს პოლონურ „ლეგიასთან" 6 თებერვალს გამართავს.

**ლუკა თალაკვაძე**

# სიონმა იალტა მოგებით დახურა

**ბოლნისის** „სიონი" ამაღამ ჩამოფრინდება იალტიდან, მანამდე კი ხვიჩა ქასრაშვილის გუნდმა კრივოი როგის „კრივბასი 2"-ს 2:0 მოუგო საკონტროლო მატჩში. გოლები კოკა მიკუჩაძემ და ირაკლი სირბილაძემ გაიტანეს.

ამ თამაშში რამდენიმე უკრაინელი ფეხბურთელი გასინჯა „სიონმა", ერთი ძალიანაც მოეწონა, მაგრამ სატრანსფერო ფასშიც ბლომად ნულები აღმოუჩენია და... სამაგიეროდ, ბოლნისელებსამაღამ ჩამოჰყვებათ 27 წლის უკრაინელი თავდამსხმელი ევგენი ლაშჩუკი, რომელიც აქამდე „სკა მიკოლაევში" თამაშობდა, ახლა კი „სიონთან" ექვსთვიანი კონტრაქტი აკავშირებს.

**ილია ნანოგაშვილი**

# გამოიდარა. სპარინგის დროა

**ტექნიკური** უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან მოედანზე მორიგ საკონტროლო შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ თბილისის „ლოკომოტივი" და თელავის „კახეთი" დადგნენ.

გუნდებმა ასეთი სასტარტო შემადგენლობები ათამაშეს:

***ლოკომოტივი:*** *ჩალაძე, თავბერიძე, ებრალიძე, თუთბერიძე, მიხაილიდი, ობგაიძე, ფურთუხია, ავალიანი, ჩივაძე, ჟღენტი, პეტროსიანი.*

***კახეთი:*** *ცინაძე, ორმოცაძე, მაღლაკელიძე, ცისკარიშვილი, ფურცელაძე, გრიგორიევი, გიორგობიანი, მაზანაშვილი, ფირცხალაიშვილი, სებისკვერაძე, კიკვიძე.*

„ლოკომოტივის" უპირატესობა საგრძნობი იყო და ეს ბუნებრივიცაა — რკინიგზელებმა კარგა ხანია, სელექცია დაასრულეს და ახლა ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში არიან, „კახეთის" სახელით კი მოედანზე თერთმეტივე ისეთი ფეხბურთელი გავიდა, ჯერჯერობით მხოლოდ გასინჯვაზე რომ არიან.

პირველ ნახევარში სოსო სირაძის შეგირდებმა ორი გოლი გაიტანეს. თავი ავალიანმა და ჩივაძემ გამოიჩნეს. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ყენიამ ანგარიში 3:0 გახადა, ფურცელაძის გოლმა კი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 3:1 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

მატჩის არბიტრმა ზურაბ ანიაშვილმა მეორე ნახევარში „კახეთის" კარში თერთმეტმეტრიანიც დაინიშნა, რაც ლოკომოტიველებმა ვერ გამოიყენეს.

მომდევნო სპარინგს „ლოკომოტივი" ხვალ თანაქალაქელ „სპარტაკთან" გამართავს, „კახეთი" კი ზეგ თბილისის „დინამო 2"-ს დაუპირისპირდება.

**გიორგი ნოზაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზიზღარი ეშუორტი

## გამეზარდაშვილს სლოვაკურმა ტატრანმა თავი ვერ მოაწონა


დავით გამეზარდაშვილი

**რიგის** „სკონტოს“ ქართველი მცველი დავით გამეზარდაშვილი სლოვაკეთიდან დაბრუნდა და კვლავაც ლატვიაში გააგრძელებს კარიერას. ჩვენებური სლოვაკეთში „სკონტოს“ ინგლისელმა მწვრთნელმა, პოლ ეშუორტმა გაუშვა, ცოტა ხნით გაგანათხოვრებთ და სათამაშო პრაქტიკა გექნებაო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

გამეზარდაშვილის ექვსთვიანი იჯარით აყვანას სლოვაკეთის მეორე ლიგის მეექვსეადგილოსანი „ტატრან პრეშოვი“ აპირებდა. ქართველმა მცველმა ამ კლუბის შემადგენლობაში ორი ტესტ-მატჩიც ჩაატარა („კოშიცესთან“ 2:2, „ტრებიშოვთან“ 5:1) და რიგაში უკმაყოფილო დაბრუნდა...

— სლოვაკეთში ეშუორტის რეკომენდაციით წავედი. მითხრა, მაისამდე იქ ითამაშე და მერე ისევ ჩვენთან დაბრუნდებიო, მაგრამ იმ გუნდში გაჩერება არ მიღირდა, ძალიან ცუდი სიტუაცია დამხვდა და გუშინ რიგაში ჩამოვედი — გვითხრა დავით გამეზარდაშვილმა სატელეფონო საუბრისას.

ახლა გამეზარდაშვილი „სკონტოს“ ესპანური შეკრებიდან დაბრუნებას ელის — მისი თქმით, სეზონს სწორედ „სკონტოში“ ჩაამთავრებს. შეგახსენებთ, რომ იგი რიგულ კლუბში შარშანდელ შემოდგომაზე გადავიდა ქუთაისის „ტორპედოდან“.

აქვე მეორე სკონტოელზე, ლევან კორღალიძეზეც ვთქვათ — იგი ახლა „სკონტო 2“-ში ვარჯიშობს და ახალი გუნდის ძიებაშია.

— ამ მწვრთნელთან მუშაობას არ ვაპირებ. სანამ ეშუორტი გუნდში იქნება, „სკონტოს“ შეუძლია, მშვიდად მიხადოს ხელფასი და თან ჩემი იმედი არ ჰქონდეს. ერთი სული მაქვს, როდის დავტოვებ აქაურობას — გვითხრა ლევანმა, რომელსაც ლატვიელებთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს.

**კახა ზალამბერიძე**


ლევან კორღალიძე

# ქართველების საკურორტო ამბები

იანვარ-თებერვალი ისეა, კურორტები წინასასეზონოდ თუ სამეორეწრეოდ მოვარჯიშე გუნდებითაა სავსე. თითოეული ქართველი ლეგიონერის ტესტ-მატჩს რომ ცალკე წერილი მივუძღვნათ, ნამეტანი გამოგვივა, ამიტომაც, უკაცრავად და, ასორტი გავაკეთოთ.

რევიშვილ-ქინქლაძე-სალუქვაძის „რუბინმა“ ესპანურ სეგუნდადივიზიონელ „ელჩესთან“ 0:2 წააგო, ხოლო ერთ კვირაში „ლა მანგას თასზე“ ჩაერთვება და აღვნიშნოთ, რომ შარშან ეს ტურნირი სწორედ ყაზანელებმა მოიგეს. „ელჩესთან“ არ უთამაშია ნუკრი რევიშვილს, თუმცა ასეც ველოდით: მწვრთნელი ყურბან ბერდიევი სხვადასხვა თამაშში სხვადასხვა მეკარეებს აყენებს კარში და ასეთი ოთხი ჰყავს — „ელჩესთან“ ლატვიელი კოლინკოს ჯერი იყო. სალუქვაძემ და ქინქლაძემ კი ესპანელებთან მეორე ტაიმი ითამაშეს.

უკრაინული „კრივბასი“ რუსულ „ტომს“ 1:1-ზე გაეყარა. გოლი კი, აბა, რა ძნელი გამოსაცნობია, ვასილ გიგიაძემ გაიტანა, ითამაშეს თუ არა ლადო ბურდულმა და ჯაბა კანკავამ ციმბირელების წინააღმდეგ, უცნობია — მოგეხსენებათ, ორივე ქართველი ახლა „კრივბასის“ ვარიანტს უტრიალებს და შეკრებაზეც მათთან ერთად არიან.

გაიტანა კიდევ ერთმა „უკრაინელმა“ ქართველმა გიორგი ციმაკურიძემ, მისმა „სტალმაც“ 1:1 ითამაშა რუმინულ „გლორიასთან“, რომელსაც რამდენიმე დღეში თბილისის „ამერიც“ შეხვდება.

აზერბაიჯანული ამბებიც მოვიკითხოთ: ქუთაისის „ტორპედოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილი მოთამაშე რომან ახალკაცი ახლა „კარვანშია“ და გუშინ მან და ლექსო ინწკირველმა ყაზახურ „ტობოლთან“ 1:0 მოიგეს. ეს თამაში ეგებ არც იყოს დიდად გამოსარჩევი, რომ არა ინწკირველის საქციელი: ექსვიტჯორჯიელმა მცველმა „ტობოლის“ წაქცეულ ფორვარდ ნირგალაევს წიხლი დაარტყა და რომ არ შეეჩერებინათ, სისხლში ამოგანგლავდაო, იტყობინება აზერბაიჯანული ვებგვერდი.

რეხვიაშვილისა და გოგობერიშვილის „ბაკუმ“ 3:0 მიანგრია პოლონეთის „ლეხი“, ორივე ქართველმა 90-90 წუთი ითამაშა და საინტერესო ისაა, რომ რეხვიაშვილი ცენტრალურ მცველად დაუყენებია მწვრთნელს.

და ბოლოს, ოთარ მარცვალაძემ რომ მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ 30 წუთი ითამაშა, გუშინაც ვწერდით. ახალი კი ისაა, რომ ნამატჩევს კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა და მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ ქართველი ფორვარდი ძალიან აქვს.

„ეშჩენკო და მარცვალაძე გუნდის გამოცდილ ფეხბურთელებს არაფერში ჩამორჩნენ. მათი მოედანზე გამოსვლის შემდეგ კიდევ ორი გოლი გავუტანეთ მოსკოველებს. კიევის „დინამოს“ ეს ახალგაზრდები სჭირდება, მათი მონდომება და კლასი ცხადზე ცხადია“ — თქვა სურკისმა და დემიანენკომაც დაახლოებით იგივე გაიმეორა, ოღონდაც დაამატა, მარცვალაძე და მიხალიკი არიან გუნდის იმედებიო.

გუშინ კი მარცვალაძემ კიეველთა ძირითადში ითამაშა მინსკის „დინამოს“ წინააღმდეგ და 64-ე წუთზე შეცვალეს. ოთარმა რამდენიმე კარგი პასი გააკეთა, ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მინსკელთა მეკარემ არ დაანება.

**ილია ნანობაშვილი**


ალექსანდრე ინწკირველი

# ფერო სატურნს მიადგა

**„ზესტაფონი“** 31 იანვარს გაემგზავრა კვიპროსულ ლარნაკაში და სასტუმრო „პრინც ლუისში“ დაბინავდა. ფეროელებს კუნძულზე ერთი ახალი ფეხბურთელი გაჰყვათ — ექსლოკომოტიველი მეკარე გია ჭანტურია.

ზესტაფონელებს, წესით, გუშინ უნდა ეთამაშათ პირველი ტესტ-მატჩი, თუმცა ჩეხურმა „ტეპლიცემ“ მეტოქეობაზე უარი განუცხადა.

— ჩეხებთან თამაში ჩაიშალა, მაგრამ, სამაგიეროდ, უკეთეს გუნდს ვხვდებით — რამენსკოეს „სატურნს“ მოველაპარაკეთ. ხვალვე პორტუგალიიდან ჩვენი კლუბის რამდენიმე ფეხბურთელი ჩამოვა, რომლებიც კობა ჟორჟიკაშვილის ახალგაზრდულ ნაკრებში იყვნენ. ყველანი რომ ჩამოსულიყვნენ, კარგი იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდულს 7 და 9 ფეხბურთელს აზერბაიჯანთან აქვს თამაშები“ — გვითხრა გუშინ თემურ მახარაძემ.

„სატურნის“ მერე „ზესტაფონი“ 6 თებერვალს, სავარაუდოდ, სერბულ „ბუდუჩნოსტს“ გაეჯიბრება, 10 და 13 თებერვალს, შესაბამისად, რუმინულ „არჯეშს“ და კორეულ „სეულს“ შეხვდება.

**ილია ნანობაშვილი**

# რუმინულით ერთი

**რუმინულ** „გლორიასთან“ „ამერმა“ მოსამზადებელ პერიოდში პირველი მარცხი იწვნია.

თამაში მწირმომენტიანი იყო. თბილისელთაგან პირველად გრიგოლ დოლიძეს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ახლოდან ააცილა. რუმინელთა იშვიათი იერიშებიდან ერთ-ერთი კი გოლით დასრულდა, კიდევ ერთ ეპიზოდში ამირან კედელაშვილმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

შესვენების მერე „ამერი“ უკეთ გამოიყურებოდა. რუმინელებს მომენტი აღარ ჰქონდათ და ბოლო 20-25 წუთი ბურთი „ამერის“ ნახევარზე, ფაქტობრივად, არც გადასულა. თუმცა ამერელთა გამალებულმა იერიშებმა შედეგი ვერ მოიტანა. არადა, ვასილ ლუჭაშვილს და გიორგი სილაგავას კარგი მომენტები ჰქონდათ.

თამაშის ხასიათზე ზეგავლენა თენგიზ ჩიკვილაძის ადრიანმა გაძევებამაც მოახდინა. მართალია, „ამერს“ გაძევებული ფეხბურთელის შეცვლის უფლება ჰქონდა, მაგრამ იმ ეპიზოდმა თამაში უფრო ნერვიული და უხეში გახადა.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნაჭყეპია, კედელაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე (გ. კვახაძე 18), ხვადაგიანი, დეკანოსიძე, ბოლქვაძე (დობროვოლსკი 60), დოლიძე, კოშკაძე (სილაგავა 46), ს. დავითაშვილი, ა. კიღარაშვილი (სევასტოპულო 65).*

**გიორგი დარჯანია**
ანთალიიდან


თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

*თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.*

*კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.*

*იაქტიურეთ!*

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალისიანი გზა — STURM!

**რა უფრო მთავარია ფეხბურთში, შედეგი თუ ლამაზი თამაში? ეს კითხვა ადრეულ წლებში უფრო ხშირად უჩნდებოდათ გულშემატკივრებს, მაგრამ ბოლო დროს ასეთი რამ არსად გამიგონია. ცხადია, შედეგი — რადგან ის დრო წარსულმა ჩაყლაპა, ფეხბურთი წლიდან წლამდე დიდ ბიზნესად იქცა და გვეეჭვება, რომელიმე მწვრთნელმა სამი ქულა ესთეტიკურ თამაშს შესწიროს. და მაინც, ხალასად მოთამაშე გუნდებიც ხომ აღწევენ შედეგს? მაშ, რა ვთქვათ ბრაზილიაზე, რომელსაც კენწვლა-კენწვლით შეუძლია თამაშის მოგება?**



## რატომ არის კლაუს ტოპმიოლერი არაგერმანული გერმანელი

...კლაუს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრებში დანიშვნისთანავე ითქვა, ეს ის კაცია, რომლის ხედვა ქართული ფეხბურთის მანერასთან ახლოსაა — ეს მანერა თავისთავად რომანტიკული და შემტევია, ანუ გარკვეულწილად პუბლიკაზე გათვლილიც. ტოპმიოლერი ბევრისთვის და მათ შორის ჩვენთვისაც, ყველაზე „არაგერმანულ გერმანელ" მწვრთნელად ითვლება. და შედეგს ვერ მიაღწია? მიაღწია და მერე როგორ...

ტოპის ლევერკუზენულ მონაგარზე ყველამ იცის, აქ ჩვენ მისეულ თამაშის ტაქტიკურ მონახაზებზე ვისაუბრებთ. მანამდე კი ძალიან მეტყველ სტატისტიკურ მონაცემებზე...

### აინტრახტი

ჰერ კლაუსმა მაინისპირულ გუნდში 1993-94 წლების სეზონში იმუშავა და მეხუთე ადგილს გამოჰკრა ხელი. მაშინდელ „აინტრახტს" ყველაზე ლამაზ ბუნდესგუნდად ნათლავდნენ და სწორედ აქ იყო „ტოპმიოლერის ფეხბურთთან" ნათლობა. იყო თუ არა მეხუთე ადგილი ფრანკფურტელთათვის წარმატება? უდავოდ, რადგან მას შემდეგ ეს გუნდი ალმა-დალმა დაიარება პირველიდან მეორე ბუნდესლიგაში — მხოლოდ ახლა ატარებს ზედიზედ მეორე ბუნდესსეზონს.

### ბოხუმი

გუნდი, სადაც ჰერ კლაუსმა ყველაზე დიდხანს, ლამის ხუთი სეზონი იმუშავა. იგი 1994 წლის ნოემბერში მივიდა ამ პატარა გაქანების კლუბში, რომელიც იმ დროს ღრმა აუტსაიდერი იყო და... ველარ უშველა. გავარდნილ „ბოხუმს" ტოპმიოლერმა იმავე სეზონში დიდი უპირატესობით მოაგებინა მეორე ბუნდესლიგა, მისმა შეგირდებმა კი 68 გოლი გაიტანეს, როცა მის კონკურენტ მეორეადგილოსანს 51 ჰქონდა აქტივში.

ეს კიდევ არაფერი: ბუნდესლიგაში დაბრუნებული „ბოხუმი" ტოპმიოლერმა მეხუთე ადგილზე გაიყვანა და უეფას თასზე მერვედფინალს უწია, სადაც შოთა არველაძის „აიაქსს" სტუმრად 2:0-ს უგებდა, მაგრამ 2:4 წააგო.

თანაც არანაირი ვარსკვლავი „ბოხუმს" არ ჰყოლია, ერთადერთი გამორჩეული ფეხბურთელი გამთამაშებელი დარიუშ ვოში გახლდათ. და არ დაგავიწყდეთ, მიუხედავად ღარიბი შემადგენლობისა, ტოპის „ბოხუმი" აქაც ძალიან გოლუხვად თამაშობდა — საუეფასთასო 6 მატჩში 15 გოლი გაიტანა.

1997-98 წლებში ტოპმიოლერის „ბოხუმი" ბუნდესლიგაში მეთორმეტე იყო, მომდევნო სეზონი კი პირწმინდად ჩაუვარდა და... ისევ მეორე ბუნდესლიგა. ჰერ კლაუსის სამწვრთნელო კარიერაში სწორედ ეს და მეორე ლევერკუზენული სეზონი იყო „შავი პერიოდი".

მიუხედავად ამისა, ტოპმიოლერს იმხანად უკვე თვლიდნენ ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ გერმანელ მწვრთნელად, რომელსაც თავისი ხელწერა ჰქონდა.

### ზაარბრიუკენი

ნაბოხუმევს თმახუჭუჭა გერმანელმა რეგიონალლიგელ „ზაარბრიუკენს" მოჰკიდა ხელი და „სასწრაფოდ" მეორე ბუნდესლიგაში ალაზევა, თანაც სეზონში 80 გატანილი გოლით. თუმცა ამბიციური ტოპი დიდხანს ველარ შეეგუა პროვინციულ კლუბს — შუა სეზონში ზაარლანდელები მეთერთმეტე ადგილზე დატოვა და წავიდა...

### ლევერკუზენი

მსუქანა პრეზიდენტ რაინერ კალმუნდს ბერტი ფოგტსის პრეტენზიები ყელში ამოუვიდა და კლაუს ტოპმიოლერი დანიშნა. ტოპის პირველი ლევერკუზენული ტრანსფერი „ბოხუმიდან" მისი ყოფილი შეგირდის, თურქი ილდირაი ბაშთურქის გადმოყვანა იყო, მიხაელ ბალაკი კი დახვდა გუნდში, მაგრამ მისი დიდი ტალანტი მანამ არ წარმოჩენილა, სანამ...

ასე რომ, სწორედ თმახუჭუჭა ტოპიმ გაუხსნა ბალაკს ხელფეხი — ასე უფრო სამართლიანნი ვიქნებით, ვიდრე ის ვთქვათ, ტოპმიოლერმა „ლევერკუზენი" იმიტომ ააყვავა, რომ უმაგრესი შემადგენლობა ჰყავდაო.

„ფარმაცევტები" იმ სეზონში მეორე ადგილზე გავიდნენ, არადა, ბოლოსწინა ტურში ნიურნბერგში წაგება რომ არა... ჰერ კლაუსის ბიჭებმა 77 ბუნდესგოლი დაახვავეს, როცა არც ერთ სხვა გუნდს 65-ზე (!) მეტი ვერ გაეტანა. გარდა ამისა, ტოპი მეორე გერმანულ ფრონტზეც ახლოს იყო ტრიუმფთან, მაგრამ თასის ფინალი „შალკესთან" 2:4 წააგო.

ცნობისთვის: ეს მოხდა ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე სამი დღით ადრე...

და აი, ლიგაც, მესამე ფრონტი: ტოპის „ლევერკუზენს" ორივე საწყის ეტაპზე „სიკვდილის ჯგუფი" შეხვდა, მაგრამ პროგნოზები თავდაყირა დააყენა — „ლიონს" „ბარსელონას", „იუვენტუსს" და ორჯერ „დეპორტივოს" მართლაც ულამაზეს სტილში მოუგო, მეოთხედფინალ-ნახევარფინალებში კი ორი ინგლისური გრანდი, „ლივერპული" და „მანჩესტერი" დააჩოქა.

„არ მჯერა, რომ ამას „ლევერკუზენი" აკეთებს. ფინალში ვართ? ჩვენ არ ვართ დიდი გუნდი, მაგრამ ვთამაშობთ იმ ფეხბურთს, როგორიც მაყურებელს მოსწონს. მოსალოცი და საქებარი წერილები მრავლად მოგვდის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ესე იგი, ჩვენ რაღაც დიდი გავაკეთეთ" — თქვა ტოპმიოლერმა „რეალთან" „ჰემპდენ პარკის" საჩემპიონთალიგო ფინალის წინ.

და როგორი იყო მისი სიტყვები ნაფინალევს, როცა „ლევერკუზენს" „სამეფო კლუბის" წინააღმდეგ ზიდანის ჯადოფეხი, იკერ კასილიასის ვეფხვის ნახტომები, იენს ნოვოტნი, ზე რობერტო, და ყისმათი დააკლდა ტრიუმფამდე?

„ფეხბურთი დაუნდობელია. მე 50 წლის ვარ და ტიტულებს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მაგრამ ბიჭები მეცოდებიან. ბალაკისკენ ვერც კი გამიხედავს, გული მეთუთქება. ჩემმა ბიჭებმა სამი ფინალი წააგეს".

ამ მატჩის შემდეგ ტოპმიოლერის კარიერა დაღმა დაეშვა. „ლევერკუზენმა" ბალაკი და ზე რობერტო „ბაიერნში" გაყიდა, მათ ნაცვლად კი შიმაკი და ბიროფკა მოიყვანა. არა, ტოპის ბიჭები შედეგიან და თვალმისაზიდ ფეხბურთს მაინც თამაშობდნენ, ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიც იოლად გაიარეს, მაგრამ დენთგამოლეულებს ბუნდესლიგაში აეჭრათ საქმეები — 2003 წლის თებერვალს, მე-19 ბუნდესტურში „ჰანზასთან" საშინაო მარცხის შემდეგ კალმუნდმა ტოპმიოლერი დაითხოვა...

„ზოგჯერ ორი ფეხბურთელიც მთელ გუნდს უდრის. ჩვენ გაძლიერება გვჭირდებოდა, მაგრამ დავსუსტდით. სასწაულმოქმედები კი ნამდვილად არ ვართ" — ნაღვლიანი სიტყვებით დაამთავრა ტოპიმ ლევერკუზენული კარიერა.

### ჰამბურგი

„მე თუ სადმე ვიმუშავებ მწვრთნელად, მხოლოდ ამბიციურ გუნდში" — თქვა ჰერ კლაუსმა და 2003 წლის ოქტომბერში იმ „ჰამბურგში" მივიდა, რომელიც ბუნდესლიგის გასავარდნ ზონაში იმყოფებოდა. საქართველოს ნაკრების ახლანდელმა თავკაცმა მერვე ადგილზე გაიყვანა ჰამბურგელები, მან აღმოაჩინა ბელგიელი მცველი ვან ბუიტენი, ჰოლანდიელი ჰალიდ ბულარუზი, მაგრამ...

დრო მიდიოდა და ტოპიმაც უმატა სიგარეტის ნერვიულად გაბოლებას: 2004-05 წლების სეზონი „ჰამბურგმა" საშინლად დაიწყო, რვა ტურში ოდენ ექვსი ქულა მოაგროვა და 2004 წლის 17 ოქტომბერს ტოპი უმუშევარი დარჩა.

STURM — ანუ რისკი და იმპროვიზაცია.

და მაინც, რატომ არის ტოპმიოლერი არაგერმანული სტილის მწვრთნელი? ცხადია, აქ არა მხოლოდ პიროვნულ შტრიხებს, არამედ საფეხბურთო ხედვასაც ვგულისხმობთ. ჰერ კლაუსის გუნდები ყოველთვის მაღალნოტიან შეტევაზე თამაშობდნენ, რაც რაციონალურ გერმანელ მწვრთნელებს არ ახასიათებთ.

უფრო მკაფიოდ ჩანს ტოპმიოლერის იმპროვიზაცია — იგი არასოდეს ზღუდავდა შემოქმედ ფეხბურთელს მკაცრი ჩარჩოებით. რაც ბევრი დიდი გუნდის მწვრთნელს გაუკეთებია დიდი ფეხბურთელისთვის...

ტოპმიოლერმა გაბედა და, საჩემპიონთალიგო ნახევარფინალში სტუმრად „მანჩესტერთან" 1:1-ის დროს, მცველი მოხსნა, თავდამსხმელი გამოიყვანა და გაუმართლა კიდეც, უფრო შედეგიან ფრეს (2:2) მიაღწია. სხვა მხრივაც, ძნელად გავახსენდება „ოლდ ტრაფორდზე" ასე დაჩაგრული „მანჩესტერი", რომელსაც ტოპბიჭებმა ყველა ასპექტში აჯობეს.

სხვათა შორის, ასე იყო „ლივერპულთან" და „არსენალთან" სტუმრად წაგებულ თამაშებშიც ტოპმიოლერი თავის გზას არ ღალატობდა და, რაც მთავარია, თმახუჭუჭა გერმანელი სანახაობრივ მხარეს შედეგსაც ზედ ურთავდა.

„ნახევარმცველი გუნდის ხერხემალი უნდა იყოს. ლამაზ და შემტევ ფეხბურთს მაშინ ითამაშებ, როცა მეტოქის კართან არც ერთი შენი ფეხბურთელი არ უცხოობს" — ამბობდა ტოპი და, მართლაც, მისეულ „ლევერკუზენში" („ჰამბურგშიც") ხუთი ნახევარმცველიდან ოთხი შეტევაზე იყო ორიენტირებული: მარჯვნივ-მარცხნივ შნაიდერი და ზე რობერტო, ცენტრში კი — ბალაკი და ბაშთურქი. ამათ დაუმატეთ ერთი თავდამსხმელი (მეტწილად, ასე თამაშობდა „ლევერკუზენი") და ცხადი ხდება, რატომ ფლობდნენ „ფარმაცევტები" ყველა მატჩში ცენტრს.

ტოპმიოლერი მხოლოდ ერთი საყრდენი ნახევარმცველით, კარსტენ რამელოვით თამაშობდა. არადა, დღესდღეობით სად ნახავთ ერთსაყრდენიან გუნდებს? ამას დაუმატეთ განაპირა მცველების აქტიურობა, შებეშენი (ან ჟივკოვიჩი) და პლასენტე ხშირად ლამის გარემარბებად თამაშობდნენ. ცენტრალური მცველი ლუსიო კი ცალკე თემა იყო — ის ზოგჯერ მატჩის უმეტეს დროს მეტოქის ნახევარზეც კი ატარებდა.

გუნდმა ისე და ისეთი ტაქტიკური მონახაზით უნდა ითამაშოს, რა კონტინგენტიც ჰყავს — ეს ზოგადი მოსაზრებაა. ისიც ცხადია, რომ ფეხბურთს დრო ცვლის, მწვრთნელიც იცვლის ხედვას და ამიტომაც ვერ ვიტყვით, როგორ ათამაშებს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებს, ვინ ეყოლება ბალაკად, ვინ ბაშთურქად...

ყისმათიც საჭიროა: ვინძლო, უყისმათო 2002 წლის გაზაფხული ჰერ კლაუსს წალმა დაუტრიალდეს...

**ილია ნანობაშვილი**

# ჩვენ შარვლები სავსე გვქონდა



*95 წლის არგენტინელი ფრანსისკო ვარალო უკანასკნელია მათ შორის, ვინც 1930 წლის 30 ივნისს პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ითამაშა. მოკლე ცეცხლსასროლი იარაღი — ასე ითარგმნება სიტყვა-სიტყვით 165 სანტიმეტრი სიმაღლის ვარალოს არგენტინული მეტსახელი, რასაც ჩვენებურად ალბათ „აბრეზა" შეესატყვისება. არგენტინული ფეხბურთის ერთ-ერთმა ლეგენდამ „კიკერთან" საუბარში გაიხსენა მონტევიდეოს მატჩი, რომელშიც ურუგვაიმ „გაუჩოებს" 4:2 მოუგო*



მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის დამარცხებული ფინალისტი არგენტინა

# მთვრალი ხე, ტანგო და ვარალო

**ულამაზესად** ჰყავის „მთვრალი ხე" ლა პლატაში და თეთრსა და ვარდისფერში ჩაძირულა მთელი ქალაქი. მშვენიერი სანახავია ეს ყოველივე მესამოცე და ოცდამეხუთე ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე **TOTOLOTTO**-ს მაღაზიიდან, ფრანსისკო „პანჩო" ვარალომ 30 წლის წინათ რომ გახსნა. შარშან იქ ნაყიდი ბილეთით ერთმა იღბლიანმა ერთი მილიონი პესო (270 000 ევრო) მოიგო. სახლი კი ვარალომ 1932 წელს „ბოკა ხუნიორსში" მიღებული პირველი წლიური ხელფასით — 8000 პესოთი აიშენა. ეს უდიდესი შემოსავალი იყო ფეხბურთელისათვის, რომელიც ცოტა ხნის წინ „ხიმნასიაში" კვირაში 20 პესოდ თამაშობდა. ფრანსისკო ვარალომ „ბოკაში" თამაშისას 210 მატჩში 181 ბურთი გაიტანა, რაც ერთ თამაშში საშუალოდ 0,86 გოლს უდრის და ჯერ კიდევ რეკორდად რჩება. მას ცოტათი ჩამორჩება გერმანელი გერდ მიულერი, ვინაც 427 თამაშში 365 გოლი გაიტანა — საშუალოდ 0,85 გოლი ერთ მატჩში.

„გადამწყვეტ მომენტებში ბურთს არ სურდა მეტოქის კარში შევარდნა თორემ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატს მოვიგებდით", — გულდაწყვეტილი იხსენებს „პანჩო" 1930 წლის ფინალს.

ხვალ ვარალო 96 წლის გახდება. ამ ხნის განმავლობაში მას მხოლოდ ერთხელ მოადგა თვალზე ცრემლი: 2005 წლის აპრილში „ბოკა ხუნიორსმა" 100 წლის იუბილე იზეიმა და იქ ვარალოზე მეტი ქება მხოლოდ მარადონამ მიიღო.

— უცებ მოირბინეს ჩემთან ბავშვებმა, ზოგი ავტოგრაფს მთხოვდა, ზოგიც ფოტოს ერთად გადაღებას. იცით, რა ვუთხარი მათ?

— რა, დონ პანჩო?

— თქვენ მე უდიდესი საჩუქარი მომიძღვენით, არადა, ერთხელაც კი არ გინახავთ ჩემი თამაში-მეთქი. ერთ-ერთმა მიპასუხა, თქვენ გამო, დონ პანჩო, ბაბუაჩემი „ბოკას" გულშემატკივარი გახდა. ამიტომაცაა, რომ დღეს მე აქ ვარ და მაშინ მე იმ ბიჭს ვუამბე ფინალის შესახებ.

— თქვენს გამოუყენებელ შანსებზეც?

— რა თქმა უნდა, უარესებზეც. მეოთხედფინალში ფერნანდესთან ორთაბრძოლისას მუხლი დავიზიანე, რაც ნახევარფინალის გამოტოვებად დამიჯდა. მაგრამ ფინალში მართლაც ნამდვილი ომი იყო.

— ხომ არ აჭარბებთ?

— ჩვენ ყველაფერს ძალიან სერიოზულად ვუყურებდით. ხუთ-ექვს ჩვენიანს შარვლები სავსე ჰქონდა. ამიტომაც მივედი მწვრთნელთან ფინალის წინ და ვუთხარი, რომ თავს კარგად ვგრძნობდი.

— მოატყუეთ?

— მაგრამ ეს ხომ საჭირო ტყუილი იყო, აუცილებელიც კი. 20 წლის ბიჭი ვიყავი, რომლის ოცნებაც ახდა და რომელსაც ბრძოლა სწყუროდა. ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი.

— რა მდგომარეობა იყო ტრიბუნებზე?

— უბრალოდ, წარმოუდგენელი. მაშინ ასეთი დიდი სტადიონები არ იყო და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მონტევიდეოში უზარმაზარი სტადიონი ააშენეს, რომლის მსგავსიც ჩვენ მაშინ არაფერი გვენახა. იმის გადმოცემა, რაც ტრიბუნებზე ხდებოდა, შეუძლებელია — ეს საშინელება იყო.

— მაინც?

— ბარბაროსობა. მამაჩემი იძულებული გახდა, ურუგვაის დროშა ეყიდა, თორემ ნამდვილად მოკლავდნენ.

— ბუენოს აირესში მიაჩნდათ, რომ გამარჯვებული წინასწარ იყო ცნობილი.

— სისულელეა. ურუგვაელებმა გაიმარჯვეს, რადგან უკეთესად იყვნენ მომზადებულნი როგორც ფიზიკურად, ასევე ტექნიკურად. ნამდვილი ჯოჯოხეთი გამოვიარეთ.

— ნუთუ მთლად უშანსოდ იყავით?

— ისინი გამოცდილები იყვნენ, ჩვენ კი პირტიტველა ბიჭები. როცა მონდი და სუარესი დაგვიმტვრიეს, ყველა ცვლილება უკვე გამოყენებული გვქონდა და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. ცხრაკაციან გუნდს რა შანსი უნდა გვქონოდა?! ამის შემდეგ ზედიზედ სამი გოლი გაგვიტანეს და საბოლოოდ 4:2 გაიმარჯვეს.

— ესე იგი, ურუგვაიმ დამსახურებულად გაიმარჯვა?

— რა თქმა უნდა. მათ მატჩის 8:2-ით დამთავრებაც შეეძლოთ და ეს გარდელმაც აღნიშნა.

— ტანგოს მეფე კარლოს გარდელმა?

— იგი ჩვენთან მაშინ შემოვიდა, როცა ემოციებისგან ჯერ კიდევ ვტიროდით. საერთო ტანგოს შემდეგ გარდელმა გვითხრა: „ბიჭებო, ცეკვა-სიმღერა ჩემზე იყოს, თქვენ კი ახალ ფინალზე იზრუნეთ".

სინიორ ფრანსისკოს დღემდე შემორჩა მოგონება ტანგოზე — „ვარალო, ვარალიტო, ძვირფასო ვარალო", რომელიც მას გარდელმა მიუძღვნა.

— ოჯახის ერთი წევრი მაინც უნდა თამაშობდეს ფეხბურთს — ამბობს „პანჩო", მაგრამ მის შთამომავალთა შორის ჯერჯერობით მხოლოდ ქალები არიან.





ფრანსისკო ვარალო



მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ბურთი

## ფეხბურთის რუკასთან

**ჰოლანდიური** „ტვენტეს" მთავარ მწვრთნელ რინი კულენს პოსტი დაატოვებინეს. გუნდში 2004 წელს მისული კულენი ცუდი შედეგების გამო დაითხოვეს. ენსხედელები ამჟამად მე-13 ადგილზე არიან და გასავარდნი ზონიდან სულ რამდენიმე ქულა აშორებთ. სეზონის ბოლომდე გუნდს კულენის ყოფილი თანაშემწე, იან ვან სტაა გაწვრთნის.

**იტალიის** ფინანსურმა პოლიციამ ალესანდრო და რიკარდო გაუჩი დააკავა. ისინი „პერუჯას" ყოფილი პრეზიდენტის ლუჩიანო გაუჩის შვილები და ამჟამად უმბრიული კლუბის დირექტორები არიან. პოლიცია ძმებს ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობას აბრალებს. გამოძიება უკვე დაწყებულია. თავად ლუჩიანო გაუჩი კი თავის ბიზნესთან დაკავშირებულ საქმეებზე დომინიკის რესპუბლიკაში ყოფილა.

**გერმანული** „არმინია" ახალგაზრდა ჩეხი ფეხბურთელით, კამილ ვაჩეკით გაძლიერდა. „სიგმას" პერსპექტიული მოთამაშე ბილეფილდელთა რიგებში იჯარის წესით ჩაირიცხა და გუნდის თავკაც ტომას ვან ჰესენს თავს თუ მოაწონებს, გამოისყიდიან. იმავდროულად, „არმინიამ" დაადასტურა ინფორმაცია სერბი ნახევარმცველის ნებოისა კრუპნიკოვიჩის იაპონურ „ჯეფ იუნაიტედში" გადასვლის შესახებ.

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა" დიდიე აგატესთან კონტრაქტი გაწყვიტა. 30 წლის ფრანგმა გლაზგოელთა ახალ მთავარ მწვრთნელ გორდონ სტრაჩნს თავი ვერაფრით ვერ მოაწონა და საბოლოოდ გუნდის გამოცვლა არჩია. ახლა იგი თავისუფალი აგენტია და, ჭორებს თუ ვენდობით, პრემიერლიგაში გადასვლის ვარიანტი გამოჩნდა.

**იტალიური** „ფიორენტინას" ახალგაზრდა ვარსკვლავი ვალერი ბოჟინოვი პრესასთან გაბუტული აღარ არის. ნიჭიერმა ბულგარელმა რამდენიმედღიანი დუმილი დაარღვია და ჟურნალისტების მეშვეობით საჯაროდ მოიხადა ბოდიში თავისი საქციელისთვის. შეგახსენებთ, რომ ბოჟინოვს ძალიან უნდოდა რომელიმე გრანდში, „ბაიერნში" ან „ინტერში" გადასვლა. ხოლო როდესაც გაიგო, რომ მილანურ კლუბში მისი ტრანსფერი ჩაიშალა, თვალზე ცრემლიც მოსდგომია. „მინდა, ყველას საჯაროდ მოვუბოდიშო. ცუდად ვიქცეოდი და ამისთვის უკვე დავისაჯე. ახლა ყველაფერს გავაკეთებ, რომ საუკეთესო ფორმაში ჩავდგე და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმსახურო" — თქვა 19 წლის თავდამსხმელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფრიკის ერთვნებათა თასი. ეგვიპტე 2006. 20 იანვარი — 10 თებერვალი

# გვინეა გარდერობში ჩამოკიდეს

**მეოთხედფინალი**

**გვინეა 2:3 *სენეგალი***

1:0 დიავარა (24), 1:1 დიოპი (60), 1:2 ნიანგი (82), 1:3 ა. კამარა (90), 2:3 ფეინდუნო (90)
გვინეა: დიარსო, ჟაბი, ბალდე, კალაბანე, ი. კამარა, ტიამი (სუარე 53), სილა, უ. ბანგურა (ი. ბანგურა 79), მანსარე, კ დიავარა (ს. ბანგურა 67), ფეინდუნო
მწვრთნელი: პატრის ნევო
სენეგალი: ტ. სილვა, კოლი (დიახატე 39), ლ. დიატა, ს. დიავარა, ო. დაფი, ამდი ფეიე, პ. ბ. დიოპი, მენდი (ი. ბა 86), დ. კამარა, ს. კამარა (ნიანგი 58), ა. კამარა
მწვრთნელი: აბდულაიე სარი
გაფრთხილება: კ. დიავარა, დაფი
მსაჯი: კოფი კოჯა (ბენინი)
17 000 მაყურებელი

**ჯგუფში** ორი თამაში წააგეს, მეოთხედფინალში სამი ქულით გაძვრნენ, მაგრამ მართალი ყოფილა „ტერანგელი ლომების“ მწვრთნელი აბდულაიე სარი, ნაადრევად ნუ ჩამოგვწერთო — ფაფარაშლილი სენეგალი ნახევარფინალშია.

„ეს ნაღდი სათასო მატჩი იყო — თქვა სარმა — ყურები არ ჩამოგვიყრია პირველი გოლის შემდეგ, მეორე ტაიმში ვეცადეთ და გამოგვივიდა კიდეც. როცა გავათანაბრეთ, გვინეელებს მუხლები აუკანკალდათ, დაცვაში შეიყუჟნენ და დაშინებულ მეტოქეს ბოლო მოვუღეთ. ჩემმა ბიჭებმა ტექნიკის ზეიმი მოაწყვეს“.

გოლები კი, იცოცხლეთ, აფრიკულად გემრიელი გამოვიდა. გვინეელ „მწვანეებს“ ანგარიშის გახსნამდე მსაჯმა ერთი გოლი არ ჩაუთვალა, მაგრამ რაკი კარში შესული ბურთი ნახეს, უფრო ჯიგრიანად შეუტიეს და პირველი ტაიმის შუაში კაბა დიავარამ „მწვანეები“ დააწინაურა.

მეორე ტაიმში „ტერანგელმა ლომებმა“ იღრიალეს. მეტოქის საჯარიმოს მიაწყდნენ და მეკარე ნაბი დიარსო აქეთ-იქით ახტუნავეს.

დიარსომ 15 წუთი გაუძლო, მაგრამ როცა საქმეში „გარდერობი“ ჩაერია, სენეგალმა გაათანაბრა. „გარდერობი“ — პაპე ბუბა დიოპის მეტსახელია, რომელმაც გვინეელთა კართან მცველებს აჯობა და თავით ბურთი ცხრიანში შეჭედა. ამით გახარებულ „ლომებს“ რაღა გააჩერებდათ. შეცვლაზე შესულმა მარსელელმა მამადუ ნიანგმა თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე კონტრშეტევაზე გამოიჭირა „მწვანეები“, მცველთა უთავბოლოობით ისარგებლა და სენეგალი დააწინაურა. მერე კი იყო ანრი კამარას საუცხოო დარტყმა — ბურთი ზედა ძელიდან კარში ჩაეშვა.

მსაჯისგან ნაბოძებ დამატებულ ხუთ წუთში კიდევ ერთი კოხტა გოლი გავიდა — გვინეელმა პასკალ ფეინდუნომ საჯარიმო უზადოდ შეასრულა და ტონი სილვა უშანსოდ დატოვა. ამით მხოლოდ სხვაობა შეამცირეს, მეტზე კი „მწვანეებს“ დრო არ ეყოთ.

„საკმაოდ ძლიერ გუნდთან წავაგეთ — თქვა ნამატჩევს გვინეელთა მწვრთნელმა პატრის ნევომ — სენეგალი უფრო ჯანსაღად გამოიყურებოდა, მაგრამ მსაჯმაც რამდენჯერმე აშკარად მიჰქარა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

***ეგვიპტე* 4:1 კონგოს დრ**

1:0 ა. ჰასანი (33პ), 2:0 ჰ. ჰასანი (41), 2:1 ელ საკა (45ს.კ.), 3:1 მოტაები (59), 4:1 ა. ჰასანი (88)
ეგვიპტე: ელ ჰადარი, დავუდი, ელ საიედი (აბდელ ვაჰაბი 79), გომაა, ელ საკა, შავკი, ა. ჰასანი, ზაკი (ჰალიმ ალი 74), ბარაქათი, ჰ. ჰასანი (მუსტაფა 66), მოტაები
მწვრთნელი: ჰასან შეჰატა
კონგოს დრ: კალემბა, ილუნგა, კასონგო (კაბამბა 54), ნსუმბუ, მუბიალა (ლუბანზადიო 46), ტშიოლოლა, მბაიო, მატუმონა, კინკელა, ლუა ლუა, მბალა
მწვრთნელი: კლოდ ლერუა
გაფრთხილება: შავკი, კასონგო, ლუა ლუა, ლუბანზადიო
მსაჯი: მოდუ სოვე (გამბია)
74 000 მაყურებელი





AFP
გვინეა კაბა დიავარამ დააწინაურა, მაგრამ სენეგალმა მაინც მოიგო



AFP
კონგოელებს ამ მატჩში ბურთაობის მეტი არაფერი შერჩათ



# შირერმა ძალიან შორს დაიჭირა

**„ნიუკასლის“** კაპიტანმა ალან შირერმა სახალხოდ განაცხადა, რომ თავისი გუნდის მოთამაშე მწვრთნელობას არ აპირებს, რადგან შესაბამისი გამოცდილება არა აქვს. შირერმა სამწვრთნელო შტაბის წევრობაც კი იუარა.

გრემ სუნესის საჩქარო მოხსნის შემდეგ „სენტ ჯეიმს პარკი“ დაობლებულია და ახალ მესაჭეს ელის. შინაურობაში ასახელებდნენ „ნიუკასლის“ საფეხბურთო აკადემიის ბოსის, გამოცდილი მწვრთნელის გლენ როიდერის სახელსაც, თუმცა შირერმა მის მაგივრადაც თქვა, არ უნდაო.

— ეს ჩემი კლუბია და ყოველთვის აქაური ვიქნები — თქვა შირერმა — მაგრამ ეს საჩემო საქმე არ არის. მენეჯერი გამოჩნდება. მე კი გამოუცდელი ვარ. რაც შეეხება გრემის გადაყენებას, მე ამ კაცის მიმართ სიმპათია მაქვს. ბედმაც არ გაუღიმა, ტრავმების ეპიდემიამ დაგვტანჯა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## იტალია

**თასის მეოთხედფინალი**
**საპასუხო მატჩი**

***ინტერი* 1:0 ლაციო (1:1)**

1:0 სტანკოვიჩი (37)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი (ვ. სამუელი 81), ვიერა, სოლარი, სტანკოვიჩი, დ. პიზარო, კილი გონსალესი, ადრიანო, მორენტე (კრუზი 59)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლაციო: ბალოტა, ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, ბეჰრამი (ბონანი 46), მუდინგაი (დაბო 52), ლივერანი, მაური, პანდევი (როკი 67), ტარე
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: მაური, სივილია, კორდობა, ძაური, მუდინგაი, ძანეტი
მსაჯი: მორგანტი
10 304 მაყურებელი

**ნახევარფინალის წილისყრა**
**ინტერი — უდინეზე**
**პალერმო — რომა**
*პირველი მატჩები გაიმართება 22 მარტს, საპასუხოები — 12 აპრილს*

# ლაციოს უბეში სტანკოვიჩი გაუზრდია

**იტალიის** თასის მეოთხე ნახევარფინალისტის ვინაობა თასის 2004 წლის მომგებ „ლაციოსა“ და 2005 წლის გამარჯვებულ „ინტერს“ შორის უნდა გარკვეულიყო. პირველ შეხვედრაში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს და ქომაგები საპასუხო მატჩშიც დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ.

ამ ყველაფერს ინტრიგას სეზარის „ლაციოდან“ „ინტერში“ გადასვლა სძენდა. მთლიანობაში მატჩმა მოლოდინი გაამართლა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სეზარი არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, შეხვედრის გმირად „შავ-ლურჯებში“ მოთამაშე „ლაციოს“ კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი, დეიან სტანკოვიჩი იქცა.

თამაში „ინტერის“ უპირატესობით დაიწყო და მატჩის ფაქტობრივად ასევე გაგრძელდა. მე-12 წუთზე მარკო მატერაცი კილი გონსალესის კუთხურს თავით დაუხვდა, მაგრამ ბურთი კარიდან ფაბიო ლივერანიმ გამოიტანა. შემდეგ ადრიანომ გააოცა მაყურებელი — მცველთა პოზიციური შეცდომის წყალობით ბალოტასთან პირისპირ დარჩა, მოატყუა კიდეც იგი, მაგრამ ცარიელ კარს ააცილა...

36-ე წუთზე კი დეიან სტანკოვიჩმა ბურთი მაღალ კუთხეში შეჭედა და, ამით ყოფილი თანაგუნდელები ძალიან დაამწუხრა.

დარჩენილ დროში მომენტები მრავლად შეიქმნა, თუმც, „ინტერი“ უფრო უკეთ გამოიყურებოდა. ასე რომ, „ნერო აძურის“ გამარჯვება და შემდეგ ეტაპზე გასვლა სავსებით ლოგიკური იყო

ბოლოს „პალერმოდან“ „ლაციოში“ გადასული მასიმო ბონანის დებიუტიც ვახსენოთ. პერსპექტიულმა ნახევარმცველმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, ეგაა, სადებიუტო მატჩი წაუხდა.

**კოკი კანდელაკი**



# ინგლისი

## დროგბა სულ სხვაა

| XXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | არსენალი |
| ბოლტონი | : | უიგანი |
| ევერტონი | : | სიტი |
| მანჩესტერი | : | ფულემი |
| მიდლსბრო | : | ასტონ ვილა |
| ნიუკასლი | : | პორტსმუთი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ბლექბერნი |
| ვესტ ჰემი | : | სანდერლენდი |
| **ხვალ** | | |
| ტოტენჰემი | : | ჩარლტონი |
| ჩელსი | : | ლივერპული |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 24 | 20 | 3 | 1 | 50:13 | 63 |
| მანჩესტერი | 24 | 14 | 6 | 4 | 45:24 | 48 |
| ლივერპული | 22 | 13 | 6 | 3 | 30:13 | 45 |
| ტოტენჰემი | 24 | 11 | 8 | 5 | 31:20 | 41 |
| უიგანი | 24 | 12 | 2 | 10 | 29:30 | 38 |
| არსენალი | 23 | 11 | 4 | 8 | 36:19 | 37 |
| ბოლტონი | 22 | 10 | 7 | 5 | 28:21 | 37 |
| ბლექბერნი | 23 | 11 | 4 | 8 | 31:28 | 37 |
| ვესტ ჰემი | 24 | 10 | 5 | 9 | 34:34 | 35 |
| სიტი | 24 | 10 | 4 | 10 | 33:27 | 34 |
| ჩარლტონი | 22 | 9 | 3 | 10 | 27:31 | 30 |
| ევერტონი | 24 | 9 | 3 | 12 | 17:32 | 30 |
| ფულემი | 24 | 8 | 5 | 11 | 28:32 | 29 |
| ასტონ ვილა | 24 | 6 | 9 | 9 | 27:33 | 27 |
| ნიუკასლი | 23 | 7 | 5 | 11 | 20:28 | 26 |
| მიდლსბრო | 23 | 6 | 7 | 10 | 30:40 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 24 | 6 | 5 | 13 | 21:32 | 23 |
| ბირმინგემი | 23 | 5 | 5 | 13 | 21:32 | 20 |
| პორტსმუთი | 24 | 4 | 6 | 14 | 17:40 | 18 |
| სანდერლენდი | 23 | 2 | 3 | 18 | 17:43 | 9 |





**ხვალ** „სტემფორდ ბრიჯს" სანახაობა ელის: „ლივერპული" „ჩელსის" ხვდება. მეტოქეები ამ სეზონში მეოთხედ უპირისპირდებიან ერთმანეთს. სტუმრებს წარმატების იმედი აქვთ.

რას ეფუძნება ლივერპულელთა იმედი? იმას, რომ ბოლო თამაშებში „ჩელსიმ" მხოლოდ ფრეები ითამაშა, თანაც თითოში თითო გოლზე მეტი ვერ გაიტანა, რაც უთუოდ დიდიე დროგბას აფრიკის თასზე წასვლას უნდა გამოეწვია. ამას ლონდონელთა მწვრთნელი ჟოზე მაურინიუც ადასტურებს: „ჩვენ ძალიან გვაკლია დიდიე დროგბა. მართალია ერნან კრესპო და კარლტონ კოული, (შუა კვირაში „ასტონ ვილასთან" თამაში გამოტოვა) კარგად თამაშობენ, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში დროგბა მაინც სულ სხვაა. ის მაღალია, ღონიერი და ბრძოლისუნარიანი. კრესპოსა და დროგბას წყვილი სხვა ეფექტს იძლევა".

ზემოთ ვახსენეთ, რომ ხვალინდელი მეტოქეები ამ სეზონში მეოთხედ ხვდებიან ერთმანეთს. წინა სამი თამაშიდან ორი ჩემპიონთა ლიგისა იყო და უგოლოდ დასრულდა, „ენფილდზე" გამართული პრემიერლიგის მატჩი კი ლონდონელებმა 4:1 მოიგეს.

„ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი: „ზოგი ამბობს, რომ ბოლოხანს მინი კრიზისი დაგვეწყო, რაც სრული სისულელეა. ეს სიტყვები ბიჭებს რომ ესმით, ეცინებათ. ჩვენ ძველებურად კარგად ვთამაშობთ და მომენტებსაც ვქმნით, უბრალოდ, ხანადახან ისეც ხდება, რომ რაც გეკუთვნის, იმას ვერ იღებ. ვფიქრობ, ისევ გამარჯვებათა კალაპოტში ჩასავარდნად „ლივერპულთან" შეხვედრა ჩინებული იქნება".

ლონდონელებს ალბათ არ ეყოლებათ ბარძაყნატკენი პაულუ ფერეირა და კვლავ კოჭის ტრავმასთან მებრძოლი მიკაელ ესიენი, ხოლო „ლივერპულში" თუნდაც ცოტა ხნით რობი ფაულერი რომ ვიხილოთ, არ უნდა გაგვიკვირდეს.

„მანჩესტერ იუნაიტედს" „ბლექბერნ როვერსთან" შუა კვირაში გადახდილი წაგებული ბრძოლის შემდეგ, ცხადია, ჭრილობათა მოშუშება და გონს მოსვლა სჭირდება, მაგრამ შინ „ფულემთან" შეხვედრაში ეს, წესით, არ უნდა გაუჭირდეს. მანჩესტერელებს არ ეყოლებათ რიო ფერდინანდი, რომელიც „ბლექბერნთან" ზემოხსენებულ შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს.

„არსენალი" ბირმინგემშია და კვლავ მცველები აკლია. ამ შეხვედრაში მას, სავარაუდოდ, ჟილბერტი არ ეყოლება. ამ მოთამაშემ შუა კვირაში „ვესტ ჰემთან" 2:3 წაგებულ შეხვედრაში ზურგი იტკინა.

**პაატა ძიძია**

**ბოლო ათი მატჩი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2005 | ჩელსი | — | ლივერპული | 0:0 | ჩლ |
| 2005 | ლივერპული | — | ჩელსი | 1:4 | პლ |
| 2005 | ლივერპული | — | ჩელსი | 0:0 | ჩლ |
| 2005 | ლივერპული | — | ჩელსი | 1:0 | ჩლ |
| 2005 | ჩელსი | — | ლივერპული | 0:0 | ჩლ |
| 2005 | ლივერპული | — | ჩელსი | 1:1 | ლთ |
| 2005 | ლივერპული | — | ჩელსი | 0:1 | პლ |
| 2004 | ჩელსი | — | ლივერპული | 1:0 | პლ |
| 2004 | ჩელსი | — | ლივერპული | 0:1 | პლ |
| 2003 | ლივერპული | — | ჩელსი | 1:2 | პლ |

ჩლ — ჩემპიონთა ლიგა
პლ — პრემიერლიგა
ლთ — ლიგის თასი

# ესპანეთი

## ლამურამ თმაში ჩაფრენა იცის?

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მალაგა | : | ბილბაო |
| რეალი | : | ესპანიოლი |
| დეპორტივო | : | ვალენსია |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | : | კადისი |
| სევილია | : | ოსასუნა |
| სარაგოსა | : | ბეტისი |
| ბარსელონა | : | ატლეტიკო |
| სოსიედადი | : | მალიორკა |
| ხეტაფე | : | ალავესი |
| რასინგი | : | სელტა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 21 | 16 | 4 | 1 | 52:16 | 52 |
| ვალენსია | 21 | 11 | 7 | 3 | 32:19 | 40 |
| რეალი | 21 | 12 | 3 | 6 | 38:23 | 39 |
| ოსასუნა | 21 | 12 | 3 | 6 | 27:23 | 39 |
| სევილია | 21 | 10 | 5 | 6 | 27:20 | 35 |
| ვილიარეალი | 21 | 9 | 7 | 5 | 27:20 | 34 |
| დეპორტივო | 21 | 9 | 6 | 6 | 30:24 | 33 |
| სელტა | 21 | 10 | 3 | 8 | 23:24 | 33 |
| ხეტაფე | 21 | 8 | 4 | 9 | 29:26 | 28 |
| სარაგოსა | 21 | 6 | 10 | 5 | 27:27 | 28 |
| ატლეტიკო | 21 | 6 | 8 | 7 | 23:22 | 26 |
| რასინგი | 21 | 5 | 9 | 7 | 19:25 | 24 |
| ესპანიოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 20:29 | 24 |
| ბეტისი | 21 | 5 | 7 | 9 | 17:27 | 22 |
| სოსიედადი | 21 | 6 | 4 | 11 | 30:42 | 22 |
| კადისი | 21 | 5 | 6 | 10 | 16:25 | 21 |
| ბილბაო | 21 | 4 | 7 | 10 | 24:30 | 19 |
| ალავესი | 21 | 4 | 6 | 11 | 19:32 | 18 |
| მალიორკა | 21 | 4 | 6 | 11 | 20:37 | 18 |
| მალაგა | 21 | 4 | 5 | 12 | 24:33 | 17 |

**პრიმერადივიზიონის** 22-ე ტურის უმთავრესი შერკინება კვირას „კამპ ნოუზე" გაიმართება. მსაჯთა უსაქციელობის გამო თასიდან დათხოვნილი „ბარსელონა" მადრიდის „ატლეტიკოს" უმასპინძლებს. „ახლა ჩვენი მიზანი პრიმერას ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. ორივე ტიტულისთვის უშეღავათოდ ვიბრძოლებთ" — განაცხადა ფრანკ რაიკარდმა, „ბარსას" მწვრთნელმა. კატალონიელებს რონალდინიო და ედმილსონი არ ეყოლებათ. „ატლეტიკომ" წინა ტურში „დეპორტივოსთან" 3:2 მოიგო და საკვირაო ჯახს მაინცდამაინც ანერვიულებული არ ხვდება, თანაც „ბარსაში" ეტოო და რონალდინიო არ ითამაშებენ. პეპე მურსიას გუნდს, რომელსაც კატალონიელებთან ყოველთვის ლაღი ბურთაობა გამოსდის, დააკლდებიან ველასკო და კეჟმანი.

| 12175 | რეალი-ესპანიოლი | 2.10 | 1.55 |
| 12176 | სოსიედადი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12177 | სევილია-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12178 | დეპორტივო-ვალენსია | 1.60 | 2.00 |
| 12190 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.60 | 2.00 |
| 12191 | ლანსი-სტრასბურგი | 1.55 | 2.10 |
| 12192 | სოშო-ლე მანი | 1.50 | 2.25 |
| 12193 | ნიცა-ლილი | 1.50 | 2.20 |
| 12194 | ტროა-მარსელი | 1.60 | 2.10 |
| 12195 | რენი-მონაკო | 1.60 | 2.10 |
| 12196 | აიაჩიო-ოსერი | 1.60 | 2.10 |
| 12197 | ტულუზა-ნანტი | 1.50 | 2.20 |
| 12198 | მეცი-ნანსი | 1.55 | 2.20 |
| 12199 | ლიონი-ბორდო | 1.55 | 2.20 |
| 12757 | ნიგერია-ტუნისი | 1.60 | 2.00 |
| 12758 | კამერუნი-კოტ დ'ივუარი | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13013 | ევერტონი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13015 | ვესტ ბრომვიჩი-ბლეკბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13016 | ბოლტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13017 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.60 | 1.95 |
| 13018 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ბირმინგემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13021 | მანჩესტერი-ფულემი | 1.95 | 1.55 |
| 13023 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13024 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13091 | ჰამბურგი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 13093 | შალკე-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 13094 | აინტრახტი-ჰერტა | 1.55 | 2.10 |
| 13095 | დუისბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13096 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13098 | ვერდერი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 13099 | კიოლნი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13100 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 13101 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13122 | სიენა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13123 | ინტერი-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13125 | კალიარი-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13126 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13128 | ლივორნო-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13130 | ლაციო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13132 | რეჯინა-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13133 | პარმა-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13135 | სამპდორია-ტრევიზო | 1.70 | 1.90 |
| 13137 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 13168 | ხეტაფე-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13169 | მალაგა-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13170 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.90 | 1.70 |
| 13172 | სარაგოსა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13173 | ვილიარეალი-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13174 | რასინგი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13175 | რეალი-ესპანიოლი | 1.90 | 1.70 |
| 13176 | სოსიედადი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13177 | სევილია-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13178 | დეპორტივო-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13190 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.90 | 1.70 |
| 13191 | ლანსი-სტრასბურგი | 1.90 | 1.70 |
| 13192 | სოშო-ლე მანი | 1.90 | 1.70 |
| 13193 | ნიცა-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 13194 | ტროა-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13195 | რენი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 13196 | აიაჩიო-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 13197 | ტულუზა-ნანტი | 1.90 | 1.70 |
| 13198 | მეცი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13199 | ლიონი-ბორდო | 1.90 | 1.70 |
| 13757 | ნიგერია-ტუნისი | 1.70 | 1.90 |
| 13758 | კამერუნი-კოტ დ'ივუარი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14013 | ევერტონი-სიტი | 1.80 | 2.00 |
| 14014 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.80 | 2.00 |
| 14015 | ვესტ ბრომვიჩი-ბლეკბერნი | 1.95 | 1.85 |
| 14016 | ბოლტონი-უიგანი | 1.65 | 2.20 |
| 14017 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.30 | 2.50 |
| 14018 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.40 | 2.40 |
| 14019 | ბირმინგემი-არსენალი | 2.40 | 1.45 |
| 14021 | მანჩესტერი-ფულემი | 1.07 | 2.90 |
| 14023 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.40 | 2.40 |
| 14024 | ჩელსი-ლივერპული | 1.35 | 2.30 |
| 14091 | ჰამბურგი-არმინია | 1.20 | 2.60 |
| 14093 | შალკე-დორტმუნდი | 1.60 | 2.30 |
| 14094 | აინტრახტი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 14095 | დუისბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.75 | 2.10 |
| 14096 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.25 | 2.50 |
| 14098 | ვერდერი-მაინცი | 1.20 | 2.60 |
| 14099 | კიოლნი-შტუტგარტი | 2.00 | 1.80 |
| 14100 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.80 | 2.00 |
| 14101 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.55 | 2.30 |
| 14122 | სიენა-ასკოლი | 1.65 | 2.20 |
| 14123 | ინტერი-კიევო | 1.20 | 2.60 |
| 14125 | კალიარი-ემპოლი | 1.65 | 2.20 |
| 14126 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.20 | 2.60 |
| 14128 | ლივორნო-მესინა | 1.55 | 2.30 |
| 14130 | ლაციო-მილანი | 2.10 | 1.70 |
| 14132 | რეჯინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 14133 | პარმა-რომა | 2.10 | 1.70 |
| 14135 | სამპდორია-ტრევიზო | 1.20 | 2.60 |
| 14137 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.05 | 2.90 |
| 14168 | ხეტაფე-ალავესი | 1.55 | 2.30 |
| 14169 | მალაგა-ბილბაო | 1.80 | 2.00 |
| 14170 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.20 | 2.60 |
| 14172 | სარაგოსა-ბეტისი | 1.70 | 2.20 |
| 14173 | ვილიარეალი-კადისი | 1.30 | 2.50 |
| 14174 | რასინგი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 14175 | რეალი-ესპანიოლი | 1.20 | 2.60 |
| 14176 | სოსიედადი-მალიორკა | 1.65 | 2.20 |
| 14177 | სევილია-ოსასუნა | 1.70 | 2.20 |
| 14178 | დეპორტივო-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 14190 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.40 | 2.40 |
| 14191 | ლანსი-სტრასბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14192 | სოშო-ლე მანი | 1.80 | 2.00 |
| 14193 | ნიცა-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 14194 | ტროა-მარსელი | 1.80 | 1.80 |
| 14195 | რენი-მონაკო | 1.80 | 1.80 |
| 14196 | აიაჩიო-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 14197 | ტულუზა-ნანტი | 1.60 | 2.10 |
| 14198 | მეცი-ნანსი | 1.80 | 1.80 |
| 14199 | ლიონი-ბორდო | 1.35 | 2.50 |
| 14757 | ნიგერია-ტუნისი | 1.60 | 1.90 |
| 14758 | კამერუნი-კოტ დ'ივუარი | 1.55 | 2.40 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15013 | ევერტონი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | ვესტ ბრომვიჩი-ბლეკბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ბოლტონი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ბირმინგემი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | მანჩესტერი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | ჰამბურგი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | შალკე-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | აინტრახტი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | დუისბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ვერდერი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | კიოლნი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15122 | სიენა-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15123 | ინტერი-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15125 | კალიარი-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | ფიორენტინა-ლეჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15128 | ლივორნო-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | ლაციო-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15132 | რეჯინა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15133 | პარმა-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | სამპდორია-ტრევიზო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15137 | იუვენტუსი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ხეტაფე-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | მალაგა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | ბარსელონა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | სარაგოსა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | ვილიარეალი-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | რასინგი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | რეალი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | სოსიედადი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | სევილია-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | დეპორტივო-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | პსჟ-სტ-ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ლანსი-სტრასბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | სოშო-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | ნიცა-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | ტროა-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | რენი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | აიაჩიო-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | ტულუზა-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | მეცი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | ლიონი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15757 | ნიგერია-ტუნისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15758 | კამერუნი-კოტ დ'ივუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16013 | ევერტონი-სიტი | 1.55 | 2.10 |
| 16014 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.55 | 2.10 |
| 16015 | ვესტ ბრომვიჩი-ბლეკბერნი | 1.90 | 1.60 |
| 16016 | ბოლტონი-უიგანი | 1.35 | 2.50 |
| 16017 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.25 | 3.00 |
| 16018 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.30 | 2.90 |
| 16019 | ბირმინგემი-არსენალი | 2.60 | 1.35 |
| 16021 | მანჩესტერი-ფულემი | 1.07 | 5.60 |
| 16023 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.25 | 3.20 |
| 16024 | ჩელსი-ლივერპული | 1.35 | 2.60 |
| 16091 | ჰამბურგი-არმინია | 1.12 | 3.80 |
| 16093 | შალკე-დორტმუნდი | 1.35 | 2.60 |
| 16094 | აინტრახტი-ჰერტა | 1.60 | 1.90 |
| 16095 | დუისბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.45 | 2.30 |
| 16096 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.12 | 3.80 |
| 16098 | ვერდერი-მაინცი | 1.10 | 4.20 |
| 16099 | კიოლნი-შტუტგარტი | 1.90 | 1.60 |
| 16100 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 16101 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.30 | 2.90 |
| 16122 | სიენა-ასკოლი | 1.35 | 2.60 |
| 16123 | ინტერი-კიევო | 1.07 | 5.00 |
| 16125 | კალიარი-ემპოლი | 1.30 | 2.80 |
| 16126 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.06 | 5.50 |
| 16128 | ლივორნო-მესინა | 1.30 | 2.90 |
| 16130 | ლაციო-მილანი | 2.20 | 1.50 |
| 16132 | რეჯინა-პალერმო | 1.60 | 1.90 |
| 16133 | პარმა-რომა | 2.30 | 1.50 |
| 16135 | სამპდორია-ტრევიზო | 1.10 | 4.80 |
| 16168 | ხეტაფე-ალავესი | 1.30 | 2.80 |
| 16169 | მალაგა-ბილბაო | 1.60 | 2.00 |
| 16170 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.08 | 4.80 |
| 16172 | სარაგოსა-ბეტისი | 1.45 | 2.40 |
| 16173 | ვილიარეალი-კადისი | 1.20 | 3.60 |
| 16174 | რასინგი-სელტა | 1.60 | 1.90 |
| 16175 | რეალი-ესპანიოლი | 1.06 | 5.50 |
| 16176 | სოსიედადი-მალიორკა | 1.35 | 2.60 |
| 16177 | სევილია-ოსასუნა | 1.40 | 2.40 |
| 16178 | დეპორტივო-ვალენსია | 1.60 | 1.90 |
| 16190 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.28 | 2.95 |
| 16191 | ლანსი-სტრასბურგი | 1.20 | 3.50 |
| 16192 | სოშო-ლე მანი | 1.55 | 2.10 |
| 16193 | ნიცა-ლილი | 1.60 | 1.90 |
| 16194 | ტროა-მარსელი | 1.80 | 1.65 |
| 16195 | რენი-მონაკო | 1.60 | 1.90 |
| 16196 | აიაჩიო-ოსერი | 2.00 | 1.55 |
| 16197 | ტულუზა-ნანტი | 1.40 | 2.35 |
| 16198 | მეცი-ნანსი | 1.60 | 1.90 |
| 16199 | ლიონი-ბორდო | 1.25 | 3.10 |
| 16757 | ნიგერია-ტუნისი | 1.60 | 2.10 |
| 16758 | კამერუნი-კოტ დ'ივუარი | 1.30 | 2.70 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17013 | ევერტონი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ვესტ ბრომვიჩი-ბლეკბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ბოლტონი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბირმინგემი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | მანჩესტერი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17091 | ჰამბურგი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17093 | შალკე-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | აინტრახტი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17095 | დუისბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ვერდერი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | კიოლნი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17122 | სიენა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17123 | ინტერი-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17125 | კალიარი-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17126 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17128 | ლივორნო-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17130 | ლაციო-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17132 | რეჯინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17133 | პარმა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17135 | სამპდორია-ტრევიზო | 1.85 | 1.95 |
| 17137 | იუვენტუსი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ხეტაფე-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | მალაგა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17172 | სარაგოსა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17173 | ვილიარეალი-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | რასინგი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17175 | რეალი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | სოსიედადი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17177 | სევილია-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17178 | დეპორტივო-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17190 | პსჟ-სტ-ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ლანსი-სტრასბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | სოშო-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17193 | ნიცა-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17194 | ტროა-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17195 | რენი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17196 | აიაჩიო-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ტულუზა-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17198 | მეცი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17199 | ლიონი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17757 | ნიგერია-ტუნისი | 1.85 | 1.95 |
| 17758 | კამერუნი-კოტ დ'ივუარი | 1.85 | 1.95 |

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 1-2 თებერვალი





# სამი ჩვენებური ამბავი

## შემონდი გავიდა, მანუჩარი დარჩა, ბოისა იბრძვის

**შემოდგომა** ჯერ არ მოსულა, მაგრამ ევროლიგაში წიწილების დათვლა დაიწყო. ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტური რჩება და მერვედფინალში გამსვლელი სამად სამი გუნდია გასარკვევი. ჩვენ ჩვენებურებზე ვთქვათ, რომელთაგანაც ერთმა პლეი ოფი უკვე დაიბევა, მეორე მის მიღმა დარჩა და ერთიც ბედიც ბოლო ტურში გადაწყდება.

მაშ ასე, ჩვენი ნაკრების ამერიკელი გამთამაშებელი შემონდ უილიამსი უკვე მერვედფინალშია, მიუხედავად იმისა, რომ გასულ ტურში მისი „ბარსელონა" შინ მილანის „არმანი ჯინსთან" დამარცხდა. ამ მატჩში უილიამსმა ბურთების ყრით გული იჯერა, 25 წუთში 21 მოიხვეჭა, მაგრამ სხვა სახელიანმა კატალონიელებმა ვერ აუბეს მხარი და..

გაცილებით მნიშვნელოვანი ჯახი გადაიტანა ვლადიმერ ბოისამ. მისი „სიენა" სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება მადრიდულ „რეალს" და რომ ვერ მოეგო, სამერვედფინალო ოცნება გაუვარდისფერდებოდა. ახლა კი, „სამეფო კლუბის" დაშამათებით, პლეი ოფში გაძრომა სავსებით რეალურია. საამისოდ სიენელებს თურქეთში „ულქერის" ძლევა ესაჭიროებათ, თუმც ამ უკანასკნელისთვისაც გადამწყვეტია ეს მატჩი — გამარჯვებული ჯგუფში მეხუთე ადგილზე, ანუ პლეი ოფში გადის.

დაამარცხაო, ორი სიტყვით ვთქვით „რეალზე", არადა, სიენელებს ამ წარმატების მიღწევა გვარიან ჭაპანწყვეტად დაუჯდათ. „რეალს" განაღდებული კი ჰქონდა მერვედფინალი, მაგრამ „სიენაში" მოსაგებად ბოლო წამებამდე იბრძოდა. ბოისამ არცთუ ბევრი 10 ქულა მიაშველა თავისიანებს, თუმც სიენელთაგან მასზე მეტი მხოლოდ მატჩის გმირს, ლიტველ რიტმანას კაუკენასს დაუგროვდა — 33 ქულა.

ბოისა მონაწილე იყო იმ ნოკაუტისა, რომელშიც „სიენამ" „რეალი" მესამე მოეთხედფინალში ჩააგდო. ნიადაგ მოლიდერე იტალიელებმა მესამე ათწუთეულის დასაწყისში მოადუნეს ყურადღება, რის გამოც 0:11 დაისაჯნენ და ანგარიშშიც ჩამორჩნენ — 48:49. ეს იყო და, კაუკენას-ბოისას ტანდემი აბობოქრდა, ქულათა ქარიშხალი დაატეხა თავს მადრიდელებს და 16:0 მოგებული ოთხწუთეულის შემდეგ 64:49 გალიდერდა.

შეუპოვარმა ესპანელებმა ფელიპე რეიესის წინამძღოლობით ისევ მოახერხს მეტოქესთან წამოწევა და ყველაფერს ბოლო წუთებმა გასცა პასუხი. „სიენასთან" 73:75 წამოპარული „რეალის" ფორვარდმა ალექს ერვემ სირენამდე 10 წამით ადრე მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში ვერ გააყაიმა. მატჩის გმირმა კაუკენასმა კი ორი ზუსტი საჯარიმოთი საბოლოო ლახვარი ჩასცა მადრიდელებს და „სიენას" სტამბოლური შანსი აჩუქა.

„ულქერ" — „სიენას" შორის გამარჯვებული C ჯგუფში მეხუთეზე გადის, თუმც ევროლიგის ფორმატის მიხედვით მერვედფინალში საუკეთესო მეექვსეადგილოსანიც ხვდება. აქედანვე ცნობილია, რომ პლეი ოფის ამ ბოლო საგზურს B ჯგუფის წარმომადგენელი დაეპატრონება და ეს ან „ოლიმპიაკოსი" იქნება, ანაც „მილანი". ამ გუნდებს იმდენი მოგება დაუგროვებიათ, რომ სხვა ჯგუფების მეექვსეადგილოსნები ველარ გადაასწრებენ.

ბოლოს, მერვედფინალის მიღმა დარჩენილ ჩვენებურზე: მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ" დიდი ბრძოლა გაუმართა იტალიაში „კლიმამიოს", მაგრამ დრამატულ ფინალში წააგო და ჯგუფიდან მეექვსე გუნდად გაძრომის უკანასკნელ შანსს ვერ ჩაებღაუჭა.

**ირაკლი პერტაია**

### A ჯგუფი

**ბენეტონი 103:83 აეკ**

ბენეტონი: სლოკარი (20), ნიკოლასი (20)
აეკ: ბუდურისი (26), ჩალმერსი (20)

**კლიმამიო 68:65 ოლიმპია**

კლიმამიო: ბელილენი (16), ვატსონი (15)
ოლიმპია: პოლპერინი (17), მარკოიშვილი (27 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა)

**ბამბერგი 68:73 ტაუ**

ბამბერგი: მალეტი (25)
ტაუ: ერდოგანი (16)

**სტრასბურგი 68:73 ჟალგირისი**

სტრასბურგი: ჯ. გრირი (16), რ. გრირი (15)
ჟალგირისი: ბერდი (17), ლავრინოვიჩი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 13 | 10 | 3 | +128 | 23 |
| კლიმამიო | 13 | 9 | 4 | +120 | 22 |
| ჟალგირისი | 13 | 9 | 4 | +33 | 22 |
| ბენეტონი | 13 | 8 | 5 | +26 | 21 |
| ბამბერგი | 13 | 6 | 7 | -62 | 19 |
| ოლიმპია | 13 | 4 | 9 | -39 | 17 |
| სტრასბურგი | 13 | 3 | 10 | -60 | 16 |
| აეკ | 13 | 3 | 10 | -146 | 16 |

### B ჯგუფი

**ბარსელონა 75:77 მილანი**

ბარსელონა: უილიამსი (24 წუთი, 21 ქულა, 2 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა)
მილანი: ბულერი (27), კალაბრია (15)

**ლიეტუვოს რიტასი 88:83 მაკაბი**

რიტასი: იასაიტისი (21), ნილსენი (16)
მაკაბი: პარკერი (22), სოლომონი (17)

**ეფესი 76:61 პროკომი**

ეფესი: გრანგერი (27)
პროკომი: პეისასი (14)

**ოლიმპიაკოსი 99:70 ციბონა**

ოლიმპიაკოსი: იდნი (24), სიბუტისი (16)
ციბონა: მარკოტა (17), პენი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 13 | 9 | 4 | +41 | 22 |
| რიტასი | 13 | 8 | 5 | +58 | 21 |
| მაკაბი | 13 | 8 | 5 | +69 | 21 |
| ბარსელონა | 13 | 7 | 6 | +74 | 20 |
| ოლიმპიაკოსი | 13 | 6 | 7 | +17 | 19 |
| მილანი | 13 | 5 | 8 | -40 | 18 |
| ციბონა | 13 | 5 | 8 | -48 | 18 |
| პროკომი | 13 | 4 | 9 | -71 | 17 |

### C ჯგუფი

**სიენა 77:74 რეალი**

სიენა: კაუკენასი (33), ბოისა (26 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)
რეალი: რეიესი (23 ქულა, 15 მოხსნა)

**პანათინაიკოსი 94:62 პო ორტეზი**

პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (22)
პო ორტეზი: ლუქსი (14)

**უნიკახა 83:79 პარტიზანი**

უნიკახა: ბრაუნი (20), რიზაშე (14)
პარტიზანი: მილოევიჩი (19), პეკოვიჩი (15)

**ცსკა 74:51 ულქერი**

ცსკა: ლანგდონი (18)
ულქერი: ქუთლუ (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 13 | 11 | 2 | +70 | 24 |
| პანათინაიკოსი | 13 | 11 | 2 | +39 | 24 |
| ცსკა | 13 | 9 | 4 | +153 | 22 |
| რეალი | 13 | 7 | 6 | +25 | 20 |
| სიენა | 13 | 4 | 9 | -51 | 17 |
| ულქერი | 13 | 4 | 9 | -58 | 17 |
| პო ორტეზი | 13 | 4 | 9 | -117 | 17 |
| პარტიზანი | 13 | 2 | 11 | -161 | 15 |



# ევროპის VII ჩემპიონატი

შვეიცარია. შვეიცარია. 26 იანვარი — 5 თებერვალი

# ხვალ ევროპას ახალი ჩემპიონი ეყოლება

**ევროპის ჩემპიონმა** გერმანიამ ტიტული ვერ შეინარჩუნა და დღეს მხოლოდ მეხუთე ადგილისთვისღა ითამაშებს. გუნდმა, მართალია, მეორე ჯგუფურ ეტაპზე სამივე თამაში მოიგო, მაგრამ მანამდე ესპანეთსა და საფრანგეთთან მატჩებში სამი დაკარგული ქულა ძვირად დაუჯდა — ჯგუფში მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა და სამედლო ბრძოლას გამოეთიშა.

ახლა უკვე ექსჩემპიონებმა დასკვნითი შეხვედრა პოლონეთთან ადვილად კი მოიგეს, მაგრამ არც მათ კონკურენტებს წაუფორხილებიათ. ასე რომ, ხვალ „ბებერ კონტინენტს" ახალი ტრიუმფატორი ეყოლება, რადგან ერთგზის ჩემპიონმა რუსებმაც დაყარეს ფარ-ხმალი — ამჯერად, ორჯერ ბრინჯაოს მედალოსან დანიასთან და გერმანელებს სახუთეულოდ შეებმებიან.

მეორე ჯგუფში დიდი ომი იყო. საპლეიოფო შანსს ოთხი ნაკრები ინარჩუნებდა, ამდენად სამივე მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა ხორვატიამ ზეპრინციპულ დაპირისპირებაში სძლია ყოფილ თანაიუგოსლაველ სერბეთს და ჯგუფში პირველობაც გაინაღდა.

ყველაზე მეტად ისლანდია დაიჩაგრა. საქმე ისაა, რომ მანამდე ალმავლობით მოთამაშე კუნძულელებს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ უქულო და უიმედო ნორვეგიის დაჩოქება, მაგრამ მეზობლებმა მწარედ გაწირეს. უშანსო ნორვეგია კარის გაჯახუნებით მაინც ბოლო ადგილზე დარჩა, ისლანდიას კი სამედლო შანსი წაართვა.

თავიდან სწორედ კუნძულელები იყვნენ წინ, ტაიმიც მოიგეს — 16:14 და შესვენების შემდეგაც თითქმის ათი წუთი ლიდერობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც მოუხდათ თამაშის დათმობა.

არც ამჯერად უთამაშია ყოფილ ჩვენს თანამემამულეს, ისლანდიელთა 34 წლის მეკარე როლანდ ერაძეს. არანორმალური შედეგიანობით გამოირჩა სკანდინავთა ლიდერი კიეტილ სტრანდი — ისლანდიელთა კარში მისი 24 ტყორცნიდან 19(!) მიზანს მოხვდა, რაც, ცხადია, ტურნირის სარეკორდო მიღწევაა.

სტრანდი მეგოლეთა სიაში მეექვსეა, ლიდერობას კი 51 გოლით სლოვენიელი სერგეი რუტენკა ინარჩუნებს, რომელიც 12 ბურთით უსწრებს ხორვატთა ლიდერ ივანო ბალიჩს.

ამრიგად, დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი ესპანეთი და დანია, აგრეთვე მსოფლიოს ექსჩემპიონები — ხორვატია და საფრანგეთი.

ხვალ ფინალური და სამესამეადგილო მატჩები გაიმართება.

**გია ახალაძე**

**გერმანია 32:24 პოლონეთი**
**საფრანგეთი 30:20 უკრაინა**
**ესპანეთი 39:33 სლოვენია**

**ნორვეგია 36:33 ისლანდია**
**დანია 35:28 რუსეთი**
**ხორვატია 34:30 სერბეთი**

### პირველი ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 1 | 0 | 164:144 | 9 |
| საფრანგეთი | 4 | 0 | 1 | 148:125 | 8 |
| გერმანია | 3 | 1 | 1 | 160:137 | 7 |
| სლოვენია | 2 | 0 | 3 | 162:169 | 4 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 4 | 132:154 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 5 | 126:163 | 0 |

### მეორე ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 4 | 0 | 1 | 155:146 | 8 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 161:147 | 7 |
| რუსეთი | 3 | 0 | 2 | 143:140 | 6 |
| ისლანდია | 2 | 1 | 2 | 159:156 | 5 |
| სერბეთი | 1 | 0 | 4 | 137:157 | 2 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 4 | 141:150 | 2 |



AFP

ნორვეგიელებმა ისლანდიელებს სამედლო იმედი წაართვეს

ევროპის ერთა თასი 2006. პირველი ტური

# საქართველო VS რუსეთი

4 თებერვალი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 15 საათი





# ტრადიცია და ნოვაცია

## მალხაზ ჭეიშვილი: მზად ვართ
## დიმიტრი აფინოგენოვი: იმედი გვაქვს

*გუშინწინ თბილისში ჩამოსულმა რუსმა მორაგბეებმა დილით „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე ივარჯიშეს და ეს, როგორც ჩამოსვლის დღიდან დათქვეს, კონსპირაციულად გააკეთეს. სანამ „დათვები“ ვაკეში დათოვლილ მოედანზე ბურთაობდნენ, კაფე „მსოფლიო სპორტში“ სადღეისო, საქართველო — რუსეთი მე-10, საიუბილეო ჯახის მატჩისწინა პრესკონფერენცია მიმდინარეობდა.*

*ჟურნალისტებს ორი ბანაკის თითო წარმომადგენელმა უპასუხა. რუსებს მათი ნაკრების მენეჯერი დიმიტრი აფინოგენოვი წარმოადგენდა. როგორც მან გვითხრა, რუსების მთავარი მწვრთნელი ბლიკის ხრუნევოლდი ისედაც არ აპირებდა პრესკონფერენციაზე მოსვლას და ვარჯიშის თანხვედრა აქ არაფერ შუაშია. ხრუნევოლდის ინტერვიუს და რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კაპიოვის კომენტარს გუშინდელ „სარბიელში“ წაიკითხავდით და ამაზე აღარ შევჩერდეთ. ჩვენებმა საპრესკონფერენციოდ მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი გამოგზავნეს.*

*მალხაზ ჭეიშვილი:*

— როგორც ყოველთვის, რუსეთთან მატჩი ძალიან დაძაბული და ნერვიული იქნება. ჩვენი მზადების შესახებ ინფორმაციას ყოველდღიურად ღებულობდით. ბიჭები კარგ ფორმაში არიან. რაც მთავარია, ამ ორ-სამ დღეში ყველა კომპონენტი დავხვეწეთ, შეიძლება ითქვას, რუსეთთან მატჩს სრულ მზადყოფნაში ვხვდებით.

— 2007 წლის მსოფლიოს თასზე გასასვლელად წლევანდელი სეზონი გადამწყვეტია. შარშან მოპოვებული ქულებს კიდევ უნდა დავამატოთ მაქსიმალური რაოდენობა, რომ მსოფლიოს თასის შესარჩევ ჯგუფში შედარებით იოლი მეტოქეები გვერგოს. რა თქმა უნდა, რუსეთს ისევე სერიოზულად ვუდგებით, როგორც რუმინეთს და პორტუგალიას.

— პოლიტიკური ელფერი ამ მატჩზეც იქონიებს გავლენას. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს დადებითი მომენტი იქნება, სპორტული თვალსაზრისით ამ მატჩის პოლიტიზირება დაღს დაასვამს სანახაობას. ერთის მხრივ, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები დამატებით სტიმულს გვაძლევს, რაც ჩვენთვის ძალიან კარგია. რუსებს ტრადიციულად ვუგებთ და ამ ტრადიციის დარღვევას არც ხვალ ვაპირებთ.

*დიმიტრი აფინოგენოვი:*

— არ ღირს ამ მატჩის პოლიტიკურ ჭრილში დანახვა. ჩვენ ყველა დამატებითი მომენტისგან თავისუფალი ვართ და თბილისში მხოლოდ და მხოლოდ სანახაობრივი რაგბის სათამაშოდ ჩამოვედით. ვინ გაიმარჯვებს, ამას ხვალ გავიგებთ.

— იცით, რუსეთის ნაკრები ორი კვირით სამხრეთ აფრიკაში იყო შეკრებაზე, რაც თავისთავად ძალიან პოზიტიური ამბავია ამ მატჩისთვის მზადებაში. საერთოდ რუსეთის ნაკრები ყოველთვის გვიან, თებერვლის ბოლოს იწყებდა სეზონს, 4 თებერვალს თამაში პირველად გვიწევს — სამხრეთ აფრიკაში შეკრებამ სულზე მოგვისწრო. ბოლო მატჩებში რუსეთის ნაკრებმა სანახაობრივი რაგბი ითამაშა, რაც თავისთავად ძალიან გვაიმედებს. მართალია, სამხრეთ აფრიკაში ორი ტესტ-მატჩი დიდი ანგარიშით წავაგეთ, ამიტომ იქაც იყო დადებითი მხარეები. ერთი სიტყვით, უიმედოდ არც ჩვენ ვართ.

— ნაკრების მთავარ მწვრთნელად სამხრეთ აფრიკელი ბლიკის ხრუნევოლდის დანიშვნა ჩვენი გრძელვადიანი პროგრამის მთავარი დეტალია. გარდა იმისა, რომ ხრუნევოლდი ძლიერი სპეციალისტია, მის ხელში ჩვენი ახალგაზრდა მწვრთნელებიც გაიზრდებიან.

— ჩვენი უპირატესობა ისევ და ისევ მწვრთნელი და სამხრეთაფრიკული შეკრებაა, მინუსი კი მატჩის თარიღი. რუსეთის ნაკრებში მხოლოდ ერთი ლეგიონერი ვიაჩესლავ გრაჩოვია, დანარჩენები რუსეთის ჩემპიონატში თამაშობენ. სეზონი კი დიდი ხანია, რაც დამთავრდა და მორაგბეები ფორმაში არ არიან. მეტიც, ექვსი მოთამაშე რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს კი არა, პირველ ლიგაში თამაშობს.

*პრესკონფერენცია ამით მორჩა და იქიდან გამოსულებს რუსთა ავტობუსიც შემოგვხვდა. ნავარჯიშევმა „დათვებმა“ მატჩის ალაგი, „ეროვნული“ სტადიონი მიათვალ-მოათვალიერეს. მათმა დამრტყმელმა მოედანს შეაჩვიეს ფეხი, მერე კი მთელმა გუნდმა ჯერ ბორის პაიჭაძის ძეგლთან გადაიღო სურათი, მერე, 1981 წლის თბილისის „დინამოს“ ვეება პოსტერთან. ამის შემდეგ რუსებმა ისევე ჩუმად და უკომენტაროდ დატოვეს „ეროვნული“, როგორც მოვიდნენ.*

**ბაჩო სვანიძე**

| საქართველო | | რუსეთი |
|---|---|---|
| ოთარ ბარკალაია | 15 | იგორ კლიუჩნიკოვი |
| ბესიკ ხამაშურიძე | 14 | პაველ ნოვიკოვი |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 13 | ანდრეი კუზინი |
| ირაკლი გიორგაძე | 12 | სერგეი ტრიშინი |
| ირაკლი მაჩხანელი | 11 | ალექსანდრ გვაზდოვსკი |
| პალიკო ჯიმშელაძე | 10 | კირილ კუშნარიოვი |
| ირაკლი აბუსერიძე | 9 | ალექსანდრ იანუშკინი |
| ბესიკ უდესიანი | 8 | ვლადისლავ კორშულოვი |
| რატი ურუშაძე | 7 | ვიაჩესლავ გრაჩოვი (კაპ) |
| გია ლაბაძე | 6 | იური კუშნარიოვი |
| მამუკა გორგოძე | 5 | ალექსეი პანარენკო |
| ილია ზედგინიძე (კაპ) | 4 | ალექსანდრ ვოიტოვი |
| დავით ზერაქაშვილი | 3 | ივან კრიშჩენკო |
| აქვსენტი გიორგაძე | 2 | რომან რომაკი |
| გოდერძი შველიძე | 1 | ალექსენდრ ხროკინი |
| **მარქაფა** | | |
| გიორგი კუთარაშვილი | 16 | ოლეგ შუკაილოვი |
| ავთანდილ კოპალიანი | 17 | ანდრეი იგრეცოვი |
| ლევან დათუნაშვილი | 18 | ალექსანდრ რეჩნევი |
| ზვიად მაისურაძე | -19 | ანდრეი გარბუზოვი |
| ბიძინა სამხარაძე | 20 | არტიომ ლუბკოვი |
| თემურ სოხაძე | 21 | სერგეი სუგრობოვი |
| გიორგი შკინინი | 22 | ოლეგ კობზევი |

*საქართველოს ბორჯღალოსნები გრძელ და ურთულეს სეზონს რუსეთთან მატჩით იწყებენ ერთა თასის მეორე წრეს. მარადიულ და ისტორიულ მეტოქეთა ეს ჯახი ბორჯღალოსანთა მატიანეში მე-10 იქნება. აქამდე ნაომარ ცხრა მატჩში ჩვენები აშკარად ჯობნიან „დათვებს“*



# საქართველო — რუსეთის ათიანი ისტორია

9 **რკენა**, 5 შინ, 3 სტუმრად და ერთიც ნეიტრალურზე. 7 გამარჯვება, 1 მარცხი, 1 ფრე — ასეთია ბორჯღალოსანთა სარუსეთო მონაგარი. ის ერთი მატჩიც ჩვენებმა 13 წლის წინ, პოლონურ სოპოტში წააგეს, მაშინ, როცა საქართველოში გაგანია ომი იყო და ოვალისთვის თვით მორაგბეებსაც არ ეცალათ.

დღევანდელი სარუსეთო შემადგენლობიდან ყველაზე მეტი კეპი ჩვენების მე-10 ნომერს, პალიკო ჯიმშელაძეს მოუხვეჭავს. პალიკოს 44 მატჩი უთამაშია ნაკრებში — აქედან რვა სწორედ რუსეთის წინააღმდეგ. ღვაწლმოსილებში ჯიმშელაძის შემდეგ მალხაზ ურჯუკაშვილი, აქვსენტი გიორგაძე და ბესიკ ხამაშურიძე მოდიან, მათ 39 კეპი მოუგროვდათ, ილია ზედგინიძეს — 36, ხოლო გოდერძი შველიძეს — 30.

მექულეებშიც პალიკო ჯიმშელაძე ლიდერობს. 13-წლიანი სანაკრებო კარიერის განმავლობაში პალიკომ 263 ქულა უთავაზა მეტოქეებს. ამათში ყველაზე გამორჩეული ის 23 ქულაა, ბორჯღალოსანთა დირიჟორმა სამი წლის წინ კრასნოდარში სეტყვასავით რომ დაატეხა რუსებს და მარტომ მოუგო იმათ „მუჟიკებს“.

ჯიმშელაძეს შემდეგ მალხაზ ურჯუკაშვილი მოდის 196 ქულით. სარუსეთო რაზმიდან მთავარი მელელოვე ილო ზედგინიძეა (12), მერე მოდიან მალხაზ ურჯუკაშვილი და ბესიკ ხამაშურიძე 9-9 ლელოთი. ერთით ნაკლები აქვთ აქვსენტი გიორგაძეს და გია ლაბაძეს. 7 ლელო პალიკო ჯიმშელაძეს და გოდერძი შველიძის მონაგარია, ხოლო მამუკა გორგოძემ 6-ჯერ დაალელოვა მეტოქე.

ილო ზედგინიძე 21-ერთელ უკაპიტნებს ბორჯღალოსნებს, აქედან მეხუთედ რუსეთის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ზედგინიძის კაპიტნად ნათლობა სწორედ რუსეთის წინააღმდეგ, ყველაზე გადამწყვეტ მატჩში შედგა. ოთხი წლის წინ ჩვენებმა „ეროვნულზე“ დატორეს „დათვები“ და მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვეს.

**ბაჩო სვანიძე**

საქართველო — რუსეთი

1993, 25 მაისი
მთშ. სოპოტი (პოლონეთი)
**საქართველო 9:15 რუსეთი**

1996, 20 ოქტომბერი
ეთ. ეროვნული
**საქართველო 29:20 რუსეთი**

1998, 20 მაისი
მთშ. ეროვნული
**საქართველო 12:6 რუსეთი**

2001, 4 მარტი
ეთ. კრასნოდარი
**რუსეთი 23:25 საქართველო**

2002, 3 მარტი
ეთ. ეროვნული
**საქართველო 12:12 რუსეთი**

2002, 13 ოქტომბერი
მთშ. ეროვნული
**საქართველო 17:13 რუსეთი**

2003, 8 მარტი
ეთ. კრასნოდარი
**რუსეთი 17:23 საქართველო**

2004, 6 მარტი
ეთ. ლოკომოტივი
**საქართველო 9:3 რუსეთი**

2004, 20 ნოემბერი
ეთ. კრასნოდარი
**რუსეთი 15:27 საქართველო**

*მთშ – მსოფლიოს თასის შესარჩევი,*
*ეთ – ერთა თასი*

## რაგბი

### მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო
### პირველი წრე

**ევროპის ერთა თასი 2005**

2004. 20 ნოემბერი
**რუსეთი 15:27 საქართველო**
**უკრაინა 6:36 პორტუგალია**

27 ნოემბერი
**ჩეხეთი 14:38 რუმინეთი**

2005. 5 თებერვალი
**პორტუგალია 18:14 საქართველო**

26 თებერვალი
**საქართველო 65:0 უკრაინა**
**რუმინეთი 33:10 რუსეთი**
**პორტუგალია 19:13 ჩეხეთი**

12 მარტი
**საქართველო 20:13 რუმინეთი**
**ჩეხეთი 42:5 უკრაინა**

19 მარტი
**რუმინეთი 97:0 უკრაინა**
**ჩეხეთი 11:7 რუსეთი**

4 ივნისი
**რუსეთი 16:18 პორტუგალია**

11 ივნისი
**რუმინეთი 14:10 პორტუგალია**
**რუსეთი 72:0 უკრაინა**

12 ივნისი
**საქართველო 75:10 ჩეხეთი**

### მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო
### მეორე წრე

**ევროპის ერთა თასი 2006**

2005. 5 ნოემბერი
**უკრაინა 8:46 ჩეხეთი**

12 ნოემბერი
**რუსეთი 52:12 ჩეხეთი**

2006. 4 თებერვალი
***საქართველო — რუსეთი***

25 თებერვალი
***რუმინეთი — საქართველო***
***პორტუგალია — რუსეთი***

11 მარტი
***საქართველო — პორტუგალია***
***რუმინეთი — ჩეხეთი***

18 მარტი
***ჩეხეთი — საქართველო***
***პორტუგალია — რუმინეთი***

29 აპრილი
***უკრაინა — საქართველო***

13 მაისი
***პორტუგალია — უკრაინა***

20 მაისი
***ჩეხეთი — პორტუგალია***

27 მაისი
***უკრაინა — რუსეთი***

3 ივნისი
***უკრაინა — რუმინეთი***

10 ივნისი
***რუსეთი — რუმინეთი***

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 0 | 1 | +145 | 12 |
| რუმინეთი | 4 | 0 | 1 | +141 | 12 |
| პორტუგალია | 4 | 0 | 1 | +38 | 12 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 4 | -56 | 9 |
| რუსეთი | 2 | 0 | 4 | +71 | 6 |
| უკრაინა | 0 | 0 | 6 | -339 | 0 |

საქართველოს რაგბის კავშირი 25 თებერვალს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" იწვევს საერთო კრებას (ყრილობას). კრება დაიწყება დილის 11 საათზე. განხილული იქნება 2005 წლის ანგარიში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

## ოლიმპიზმი

# შვიდი ქალაქის შვიდი განაცხადი

2014 **წლის** ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მოსურნე შვიდივე ქალაქმა დათქმულ დღეს ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში თავისი განაცხადი წარადგინა, ბოლო ვადა კი ოთხშაბათის შუაღამე იყო.

აქვე შეგახსენებთ ამ ქალაქებსაც: ალმათი, ბორჯომი, ზალცბურგი, პიონჩანი, სოფია, სოჭი, ჰაკა.

ამ აპლიკანტთაგან რომელი მიიღებს ოლიმპიადა 2014-ის პრეტენდენტის სტატუსს, ლოზანაშივე გადაწყდება 21-22 ივნისს, როცა იქ სამუშაო ჯგუფი და სოკ-ის აღმასკომი შეიკრიბება. ამის მერე, 2007 წლის 10 იანვრამდე კანდიდატმა ქალაქებმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში უნდა წარადგინონ თავიანთი საგანაცხადო წიგნები. ამასთან, სოკ-ის შემფასებელი კომისია თითოეულ ქალაქს გაისად თებერვლიდან შუა აპრილამდე ეწვევა.

კანდიდატთაგან მასპინძელი 2007 წელს გვატემალაში გასამართ სოკ-ის სესიაზე შეირჩევა.

# გამოუშვით გაზი!
## ტურინში რუსული ცეცხლი ბარბაცებს



ვისაც რუსული ფილმი — „იტალიელების თავგადასავალი რუსეთში" გინახავთ, გეხსომებათ, რომ განძის მაძიებელმა იტალიელებმა ნახევარი ლენინგრადი გადათხარეს და თვით ძეგლებიც ქვაფენილზე დაანარცხეს.

დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა ტურინში, თუმცა ამჯერად განძი არაფერ შუაშია. 10 თებერვალს ზამთრის ოლიმპიადა უნდა გაიხსნას და მასპინძლებმაც მშობლიური ქალაქი გიგანტურ სამშენებლო პოლიგონს დაამსგავსეს.

ქანდაკებები მოთხრილია და ქალაქის სხვადასხვა კუთხეებშია დაფანტული, პარკებში უზარმაზარი თხრილები გაჩენილა და მუშებიც ისე იქნევენ ნიჩბებს, გეგონებათ, ომისთვის სანგრებს ამზადებენო.

„სტადიო ოლიმპიკოს" შესასვლელთან ყოველდღიურად ჩნდება საცობები, მძღოლები იტალიური ტემპერამენტით, უცხო ყურისთვის ლამაზი, იქაურთათვის კი შეურაცხმყოფელი სიტყვებით ამკობენ ერთმანეთს.

მილიონი ბილეთიდან მხოლოდ 600 ათასი თუ არის გაყიდული, თუმცა ორგანიზატორები გვამშვიდებენ, ნორვეგიელები ხომ არა ვართ, თადარიგი დავიჭიროთ, სამხრეთელები ყველაფერს ბოლო წუთს ვაკეთებთ, დარჩენილი ბილეთებიც უშუალოდ თამაშების დაწყების შემდეგ გაიყიდებაო.

შედარებით უკეთესი სიტუაციაა სპორტული ნაგებობების მხრივ. ძველ დარბაზებს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რამდენიმე ახალი ნაგებობაც გაჩნდა. ასეთების ამოცნობა ადვილია — მათ ეზოებში, როგორც წესი, ნაგვის მთებია აღმართული.

ოლიმპიადის მთავარ სტადიონზე უკვე დამონტაჟებულია მომავალი ოლიმპიადის ორგანიზატორთა მთავარი სიამაყე — 57-მეტრიანი ფუტურისტული ჩირაღდანი, რომლის თავზეც ოლიმპიურ დღეებში ცეცხლის ოთხმეტრიანმა ალმა უნდა იცეკვოს.

ოლიმპიური კვარცხლბეკის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ მისი ზომები სარეკორდოდ დიდია, ცეცხლი კი ტურინის ყველა კუთხიდან უნდა გამოჩნდეს, თუმცა...

აქაც პრობლემა გაუჩნდათ ორგანიზატორებს და მიზეზი ჩვენთვის კარგად ნაცნობი რუსული კომპანია „გაზპრომი" გახლავთ.

საქმე ისაა, რომ ცეცხლის სრული მასშტაბით ასაგიზგიზებლად იტალიელებს საათში 8 ათასი, საბოლოო ჯამში კი 2,8 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი სჭირდებათ. რუსებიდან მოწოდებული გაზი კი სრული დატვირთვით ვერ ჩადის ტურინში, რასაც „გაზპრომი" ხან უკრაინას აბრალებს, ხან კი სხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს.

თუ პრობლემა არ გადაიჭრა, ქალაქის მერია რთული ამოცანის წინაშე დადგება. ან ტურინის მოსახლეობას უნდა შეუმცირდეს აირი, ან ჩირაღდანს ცოტათი უნდა „ჩაუწიონ".

ასეთი ამბებია იტალიის უმსხვილეს ინდუსტრიულ ცენტრში მაშინ, როდესაც ოლიმპიადის დაწყებამდე დღეებია დარჩენილი. რას იზამ, იტალიელები არიან, რა...

**ლადო ფულუკიძე**

## კრივი

# ტაისონზე ნაკლები
## რინგზე ახალი კაციჭამია გამოჩნდა

**ეტყობა,** ამერიკელ მოკრივე ადამ უილეტს კარგად ახსოვდა ტაისონის ოინები, როცა რინგზე ოფიციალური ჩხუბისას მაიკმა თავის მეტოქე ჰოლიფილდს ყური მოაჭამა.

ადამ უილეტმა ალბათ იფიქრა, ტაისონზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო. ჰოდა, ბელარუს ვიქტორ ზუევს, ვინც 91 კილოგრამ წონაში ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორია, მხარზე უკმინა. ეს მოხდა ამერიკისა და ბელარუსის მოკრივეთა სამატჩო შეხვედრაზე მაშინ, როცა ზუევი მეტოქეს დამაჯერებლად უგებდა. როცა ამერიკელი დარწმუნდა, ბრძოლის ჩარხს ვეღარ შემოვატრიალებო, გამწარებულმა ზუევს მხარზე კბილები წაატანა. მსაჯებმა ბრძოლა შეწყვიტეს და უილეტს დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, ხოლო ბელარუსებმა ეს შეხვედრა 5:4 მოიგეს.

ახლა ისიც ირკვევა, რომ ამერიკელებმა „კაციჭამია" უილეტი ქვეყნის ნაკრებიდან გარიცხეს. არადა, ამერიკელთა ეს შემადგენლობა წარმოადგენს იმ ბირთვს, რომელიც 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.

## კალათბურთი

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

1 თებერვალი
**მაიამი 101:73 კლივლენდი**
**მაიამი:** ვეიდი (24), ონილი (21)
**კლივლენდი:** ჯეიმსი (29)
**გ. სტეიტი 86:89 სან ანტონიო**
**გოლდენ სტეიტი:** მერფი (22), დევისი (17 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)
**სან ანტონიო:** პარკერი (23), ჯინობილი (18), დანკანი (17 ქულა, 11 მოხსნა)

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

2 თებერვალი
**პიტსბურგი 2:7 ოტავა**
**ბუფალო 4:2 ფილადელფია**
**სენტ ლუისი 6:5 ჩიკაგო**
**ედმონტონი 1:2 კოლუმბუსი**
**ფინიქსი 2:1 ლოს ანჯელესი**
**სან ხოსე 2:2 მინესოტა**
**აილენდერსი 2:5 რეინჯერსი**
**ბოსტონი 3:1 მონრეალი**
**ნეშვილი 4:3 კოლორადო**

## ჩოგბურთი

**დელრეი ბიჩი. აშშ**
**ჰარდი**
საპრიზო 380 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი, 7) — **ჯეფ** სალცენშტაინი (აშშ) — 6:3 6:4; **ტომი ჰაასი** (გერმანია, 4) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) — 6:7 6:1 7:5; **ვინსენტ სპადეა** (აშშ, 8) — რობერტ კენდრიკი (აშშ) — 6:4 6:1; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — სიმონ გროილი (გერმანია) — 2:6 6:3 6:4

**PBZ ZAGREB. ATP**
**ზაგრები. ხორვატია**
**ჰარდი**
საპრიზო 302 000 ევრო

**მეორე წრე**

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 1) — კენეტ კარლსენი (დანია) — 7:6 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი, 6) — 2:6 7:6 7:6; **ანდრეას სეპი** (იტალია) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) — 4:6 6:4 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 5) — 7:6 7:6

**MOVISTAR OPEN. ATP**
**ვინა დელ მარი. ჩილე**
**თიხნარი**
საპრიზო 380 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ხოსე აკასუსო** (არგენტინა, 3) — გუსტავო მარკაჩიო (არგენტინა) — 6:1 6:1; **ლეოს ფრიდლი** (ჩეხეთი) — ხორხე აგილარი (ჩილე) — 7:6 6:3; **ნიკოლას მასუ** (ჩილე, 5) — ხუან-ანტონიო მარინი (კოსტა-რიკა) — 6:3 6:4; **ბორის პაშანსკი** (სერბეთი) — ალესიო დი მაურო (იტალია) — 6:7 7:6 6:0; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე, 2) — ხუან მარინ დელ პოტრო (არგენტინა) — 6:3 7:6

**PACIFIC OPEN. WTA**
**ტოკიო. იაპონია**
**კარდი**
საპრიზო 1 340 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**მარია შარაპოვა** (რუსეთი, 1) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) — 6:1 6:4; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი, 2) — ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი, 5) — 3:6 6:1 6:2; **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — მარია კირილენკო (რუსეთი) — 6:2 6:1; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი, 4) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 7) — 4:6 6:2 6:3

მსოფლიოს თასი. თბილისი. სპორტის სასახლე. 4-5 თებერვალი

# ერთი სიამოვნება სპორტის სასახლეში

## ძიუდო, სითბო და სინათლე ერთ ლარად

*დღეს-ხვალ ქართველი გულშემატკივარი ნაღდად არ მოიწყენს. ერთი რომ, თბილისის სპორტის სასახლე ძიუდოში მსოფლიოს თასს მასპინძლობს, მეორე — დღევანდელი დიდი რაგბი. რაც მთავარია, ორივე სიამოვნების ერთდროულად მიღებაც შესაძლებელია. დღეს ძიუდოს წინასწარი ეტაპის შეხვედრები დილის ათი საათიდან იწყება. დაახლოებით სამ საათამდე ნახევარფინალისტები გამოვლინდებიან. სამედლო შეხვედრები კი ხუთი საათის შემდეგ გახურდება. შუალედში ნამდვილად მოასწრებთ ეროვნულ სტადიონზე წასვლას და საქართველო — რუსეთის მატჩის ნახვას*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

**ახლა კი,** უშუალოდ მსოფლიოს თასზე: ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს თბილისი 33-ედ მასპინძლობს და ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობასაც უყრის თავს, თუმცა სავარაუდო განაცხადს ბოლო მომენტში რამდენიმე ვარსკვლავი გამოაკლდა. 17 მონაწილე ქვეყნის ნაკრებებში მსოფლიოს, ევროპის თუ ოლიმპიური თამაშების პრიზიორები იჭიდავებენ და მსოფლიოს თასების წლევანდელი სერიის წარმატებით დაწყებას ეცდებიან. ქართველებს კი თითო წონაში ოთხი ძიუდოისტი გვეყოლება.

შოთა ხაბარელის გუნდს ორი ტრავმირებული დააკლდება — დავით ქევხიშვილი და ზურაბ ზვიადაური. მწვრთნელმა ოცდარვა რჩეული ტურნირის წინ სასტუმრო „მონოპოლში" შეკრიბა და ვაკის დარბაზში ავარჯიშა.

სტუმრებმა თბილისში ჩამოსვლა კვირის პირველივე დღეებიდან იწყეს. გუშინ საღამოს კი ჩვიდმეტი დელეგაციის წევრები სასტუმრო „ვარაზში" კენჭისყრას დაესწრნენ. სწორედ კენჭისყრამდე შევიტყვეთ რამდენიმე უსიამოვნო სიახლის შესახებ.

„ვარაზის" ფოიეში შესვლისთანავე საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნიკოს ილიადისი შევნიშნეთ და, ცხადია, პირველ რიგში ილიას ილიადისზე (ჯარჯი ზვიადაურზე) დავეკითხეთ.

„თბილისში იგი ტრავმის გამო აღარ ჩამოვიყვანეთ — გვითხრა მწვრთნელმა — მუხლის ტრავმას მკურნალობს და, სავარაუდოდ, ტატამს ერთ თვეში დაუბრუნდება".

2005 წლის ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონის ჟოაო დერლი ჟუნიორის (66 კგ) ჩამოსვლა ორი დღის წინაც სათუო იყო, გუშინ კი ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა გვითხრა, ბრაზილიელმა ტელეფონით გვაცნობა, თავს ცუდად ვგრძნობ და თბილისში ჩამოსვლას ველარ შევძლებო.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ არც ირანელ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ არაშ მირესმაილს (66 კგ), არც აზერბაიჯანელ ევროპის ჩემპიონ ელჩინ ისმაილოვს (60 კგ) და არც უკრაინელ მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ რომან გონტიუკს (81 კგ).

დანაკლისის მიუხედავად, წლევანდელი ტურნირი ალბათ მაინც გამორჩეულად კარგი სანახავი გამოვა. თუნდაც იაპონელთა ძლიერი შემადგენლობის, რუსებისა და ფრანგების ორ-ორი გუნდით ჩამოსვლა რად ღირს. აზიელებმა შვიდკაციან განაცხადში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ორი პრიზიორი და ძიგორო კანოს წლევანდელი მემორიალის სამი ჩემპიონი შეიყვანეს.

რუსების გუნდში ყველაზე სახელიანი დიმიტრი ნოსოვია (81 კგ). ათენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის საყვარელ ფალავანს თბილისში თავის უშუალო კონკურენტ ერეკლე კოპალიანთანაც მოუწევს უპირატესობის დამტკიცება. ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი, 20 წლის კოპალიანი ხომ 81 კილოგრამში რუსეთის ნაკრებში მეორე ნომრად ითვლება.

„ცდას არ დავაკლებ, რაც შეიძლება მალე გავხდე პირველი ნომერი. ასე რომ, თბილისის მსოფლიოს თასის შედეგს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს" — გვითხრა კოპალიანმა. მას, ცხადია, ძიუდოს კლუბ „საგარეჯოში" შესაძლო ტრანსფერზეც ვკითხეთ, მაგრამ, ამის შესახებ პირველად თქვენგან მესმისო, გვიპასუხა.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ერეკლე კოპალიანი

არ შეიძლება, კუბელების საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაც არ ვახსენოთ. 66 კილოგრამში საჭიდაოდ მათ ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი იორდანის არენსებია ჩამოიყვანეს. ცნობისთვის, ამ შავკანიანმა ჭაბუკმა ათენური ბრინჯაოსთვის ბრძოლა დავით მარგოშვილს მოუგო. სამწუხაროდ, თბილისში რევანში ვერაფრით მოხერხდება — მარგოშვილი მსოფლიოს თასს ერთი წონით მაღლა, 73 კილოგრამში ჭიდაობს.

ახლა კი, მოკლედ კენჭისყრაზე. უმსუბუქეს წონაში 17 მონაწილე მოგროვდა და მათგან მსოფლიო რეიტინგში ყველაზე მაღლა ნესტორ ხერგიანი დგას. იგი პირველ შეხვედრას აზერბაიჯანელ ემილ არზუმანოვთან ჩაატარებს. ქართული ოთხეულიდან შედარებით ძლიერი მეტოქე დავით სვიმონიშვილს ერგო, სომეხი ჰოვანეს დავთიანის სახით.

66-კილოგრამიან ქართველებს ყველაზე ნაკლებად გაუმართლათ. მინდია ხომიზური დებიუტშივე არენსებიას დაეჭიდება, ოღონდ მანამდე კუბელმა უკრაინელ რაზიმ აჰმედოვს უნდა აჯობოს. ზაზა კედელაშვილის პირველი მეტოქე კი სომეხი ევროპრიზიორი არმენ ნაზარიანი იქნება.

73 კგ — დავით კობერიძე ძლიერ რუსს დიმიტრი ოგიენკოს ხვდება, ხოლო ამბაკო ავალიანი იაპონელ მასაჰირო ტაკამაცუს.

დღეს ტატამზე სამი მსუბუქი წონის (60, 66 და 73 კგ) ძიუდოისტები ვავლენ, მათზე მძიმენი კი ხვალ იჭიდავებენ.

ბოლოს ერთი სიახლეც. სპორტის სასახლე დღეს და ხვალ უჩვეულოდ თბილი და განათებული იქნება. იქ შესვლა კი სულ რაღაც ერთი ლარი ეღირება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## საქართველოს ნაკრები

| 60 კგ | 66 კგ | 73 კგ | 81 კგ | 90 კგ | 100 კგ | +100 კგ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნესტორ ხერგიანი | ზაზა კედელაშვილი | დავით მარგოშვილი | გრიგოლ მამრიკიშვილი | ირაკლი ცირეკიძე | დიმიტრი ჩიხრაძე | ლაშა გუჯეჯიანი |
| ვახტანგ ხოსიტაშვილი | მინდია ხომიზური | გიორგი კუპრაშვილი | გრიგოლ შინჯიკაშვილი | ბესარიონ ტყემალაძე | ლევან ჩიკოიძე | გიორგი ყიზილაშვილი |
| დავით ასუმბანი | გიორგი შოშიაშვილი | დავით კობერიძე | ხვიჩა ხუციშვილი | იოსებ მსხალაძე | ლევან რაზმაძე | ზვიად ჩინჩალაძე |
| დავით სვიმონიშვილი | სერგო ციხელაშვილი | ამბაკო ავალიანი | საბა გავაშელიშვილი | მინდია ბოდაველი | ლევან ჟორჟოლიანი | ადამ ოქრუაშვილი |

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge